# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 8 მარტი 2001 №40 (1313) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

3 ქინქლაძე ცხრა დღეში დაბრუნდება



გიო ლივერპულში 30 წუთისა და რუმინეთისთვის მიდის

7 **MONEY, MONEY, MONEY...**

ჯიბე იდეების სამშობიაროა. ატლანტიკურ ლიგას უეფა აბორტით ემუქრება

10 ვის დაკარგავდა პორტლენდი

კლაიდ დრექსლერს მუდმივი ნომერი უბოძეს

15 კუიტუნენიც გასვრილა



ფინელ მსოფლიოს ჩემპიონ ვაჟებს მხარი ქალმაც დაუმშვენა



REUTERS ლა კორუნიიდან

დეპორტივო — პსჟ. ლაკორუნიელები გატანასაც ჩქარობდნენ და ბურთის კარიდან გამოტანასაც

# დეპორტივომ პარიზელებს ოთხჯერ უთავაზა

გუშინ „რეალისა“ და „ლიდსის“ გზას დაადგნენ სტამბოლის „გალათასარაი“ და ესპანური „ვალენსია“ — ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში თამაში მეორე ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდეს.
თურქებმა „მილანი“ 2:0 დაამარცხეს და ლიგის მეოთხედფინალს პირველად უწიეს, თუმც სხვათაგან გამოსარჩევი მატჩი ლა კორუნიაში გაიმართა. მასპინძელი „დეპორტივო“ სტუმარ პსჟ-თან 57-ე წუთამდე 0:3 აგებდა, მაგრამ ჟინიანი ესპანელების თავგამოდების და თავურების მერე, 84-ე წუთზე ანგარიში 4:3 გახდა. ოთხიდან სამი შეცვლაზე შესულმა ვალტერ პანდიანიმ შეაგდო, ერთიც, ასევე სათადარიგო დიეგო ტრისტანმა.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS სტამბოლიდან

სტამბოლის ლომების ალზევებაში ლომის წილი ბრაზილიელებსაც, ტაფარელსა და კაპონეს უდევთ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1 |
| მანჩესტერი | 1 |
| შტურმი | 0 |
| ვალენსია | 5 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| დეპორტივო | 4 |
| პსჟ | 3 |
| გალათასარაი | 2 |
| მილანი | 0 |

# ფუხელ

## ჩემპიონთა ლიგა II ეტაპი. V ტური

### A ჯგუფი

**შტურმი 0:5 ვალენსია**

0:1 აიალა (5), 0:2 კარეუ (50), 0:3 კილი გონსალესი (60), 0:4, 0:5 დიეგო ალონსო (88, 90)
შტურმი: სიდორჩუკი, პრილასნიგი, კორსოში, შტრაუფნერი, იბერტსბერგერი, შუპი, ფლურკინი (ფელდჰოფერი 61), მინავანდ ჩალი (მარტენსი 74), კოციანი (საბიჩი 61), ვასტიჩი, ჰაასი
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, აიალა, პელეგრინო, ანგლომა, დეშამპი, კილი გონსალესი (ვისენტე 77), მენდიეტა (ალბელდა 82), აიმარი, კარეუ (დიეგო ალონსო 79), ხუან სანჩესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: პელეგრინო, მენდიეტა
გაძევება: პრილასნიგი (35)
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
16 000 მაყურებელი

**პანათინაიკოსი 1:1 მანჩესტერ იუნ.**

1:0 სეიტარიდისი (25), 1:1 სქოულზი (90)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიქსენი, გუმასი, ბასინასი (პფლიპსენი 85), ოლივარესი, ფისასი, სეიტარიდისი, ბოატენგი, ვლაოვიჩი (გალეტო 59), ლიბეროპულოსი (ვარგიზა 66), კარაგუნისი
მწვრთნელი: სტრატოს აპოსტოლაკისი
მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, ბრაუნი, სილვესტრი (ჩედვიკი 64), კინი, ფ. ნევილი (შერინგემი 77), ბექემი, სქოულზი, იორკი, ენდი კოული (სოლსკიაერი 78)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ოლივარესი, სეიტარიდისი
მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)
27 230 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 8:1 | 9 |
| მანჩესტერ იუნ. | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 |
| შტურმი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:10 | 6 |
| პანათინაიკოსი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |

„ვალენსია" გავიდა მეოთხედფინალში

### B ჯგუფი

**გალათასარაი 2:0 მილანი**

1:0 ჰაჯი (19), 2:0 ჟარდელი (86)
გალათასარაი: ტაფარელი, ბიულენთი (ემრე ასიქ 75), პოპესკუ, კაპონე, ემრე ბელოზოღლუ, აჰმეთი, ოკანი, უმითი (არიფი 85), ჰაჯი, ჟარდელი (ფარუკი 88), ჰასან შაში
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
მილანი: დიდა, ჰამოტი, სალა, მალდინი, ბა (ხოსე მარი 79), პაბლო გარსია, კოკო, ჯუნტი, ბობანი (სერჟინიო 69), შევჩენკო, ლეონარდო (ბირჰოფი 53)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ლეონარდო, ჰაჯი, ჯუნტი, სალა, ბიულენთი, ოკანი, ჰამოტი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
22 000 მაყურებელი

**დეპორტივო 4:3 პარი სენ ჟერმენი**

0:1 ოკოჩა (29), 0:2, 0:3 ლეროა (43, 55), 1:3 პანდიანი (57), 2:3 დიეგო ტრისტანი (60), 3:3, 4:3 პანდიანი (76, 84)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, დონატო, ემერსონი (პანდიანი 46), მაურო სილვა, ვიქტორი, ჯალმინია, ფრანი (დიეგო ტრისტანი 59), მაკაი (სკალონი 85)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, მენდი, ა. სისე, დელდისტინი, ალფერინო, დიუკრო, ოკოჩა (იანოვსკი 71), ბენარბია (რაბესანდრატანა 59), არტეტა, ლეროა
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: ალფერინო, ემერსონი, ლეროა
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
23 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 9 |
| მილანი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | 6 |
| პარი სენ ჟერმენი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:10 | 2 |

„გალათასარაი" გავიდა მეოთხედფინალში



შტურმი — ვალენსია. მასპინძელთა განადგურება რობერტო აიალას თავურით დაიწყო



გალათასარაი — მილანი. გეორგე ჰაჯის პირველ გოლს მილანელთა კაპიტანმა პაოლო მალდინიმ მხოლოდ თვალი გააყოლა



დეპორტივო — პსჟ. ორი გოლის გამტანი ლორან ლეროა (მარცხნივ) მეორე ტაიმში მასპინძელთა შეტევებს იგერიებდა



პანათინაიკოსი — მანჩესტერი. ბერძენი ნიკოს ლიბეროპულოსი და ინგლისელი დევიდ ბექემი ხელდახელაც შეიბნენ

### ინგლისი

გადადებული მატჩი

**ვესტ ჰემი 0:2 ჩელსი**

0:1 გუდიონსენი (32), 0:2 ჰასელბაინკი (38)

I დივიზიონი

XXXVI ტური

**ნოტინგემი 1:0 ბარნსლი**

1:0 ბარტ-უილიამსი (1)

**შეფილდ უენსდი 0:0 პორტსმუთი**

**ქუინზ პარკი 1:1 უოტფორდი**

1:0 ნგონგე (60პ), 1:1 ნილსენი (65)

**ვულვერჰემპტონი — ბოლტონი**

**ბლეკბერნი — ფულემი**

გადაიდო

II დივიზიონი

XXXVI ტური

**კოლჩესტერი 0:1 პორტ ვეილი**

**სტოკი 1:2 სუონსი**

ასოციაციის თასი

1/8 ფინალი

გადათამაშება

**ბლეკბერნი (I) 3:0 ბოლტონი (I)**

1:0 ფლიტკროფტი (55), 2:0, 3:0 ჰინეტი (71პ, 76)

### გერმანია

გადადებული მატჩი

**ჰერტა 2:1 უნტერჰახინგი**

0:1 ციმერმანი (52), 1:1 დარდაი (57), 2:1 ვან ბურიკი (67)

### შოტლანდია

ასოციაციის თასი

1/8 ფინალი

გადათამაშება

**სელტიკი 4:1 დანფერმლაინი**

1:0 ვეგა (23), 1:1 ტომსონი (28), 2:1 ვეგა (48), 3:1, 4:1 ლარსონი (68პ, 73პ)

**დანდი 0:1 ჰარტსი**

0:1 ტომაშეკი (71)

### ჩეხეთი

გადადებული მატჩი

**ტეპლიცე 2:0 სლავია**



ვესტ ჰემი — ჩელსი. ვესტჰემელი ჯო კოულისა და ბურთის უკან დენის უაიზი „იმალება"

### შვეიცარია

A/B ჯგუფი

გადადებული მატჩი

**იანგ ბოიზი 1:0 არაუ**

### საბერძნეთი

თასის 1/4 ფინალი. II მატჩები

**აპოლონი (II) 1:0 პანილიაკოსი (3:1)**

**ქსანთი 1:2 პაოკ (0:2)**

# ქინქლაძე ლივერპულში 30 წუთისა და რუმინეთისთვის მიდის


გიორგი ქინქლაძე 17 მარტს ითამაშებს

თითქმის ორთვიანი იძულებითი დასვენების შემდეგ საქართველოს ნაკრებისა და ინგლისის „დერბის" ნახევარმცველმა გიორგი ქინქლაძემ ერთი კვირაა, გუნდთან ერთად ვარჯიში სრული დატვირთვით განაახლა და 17 მარტს „ლივერპულის" წინააღმდეგ ითამაშებს.

— ორი კვირა კი არის, რაც ვარჯიში დავიწყე, მაგრამ გუნდს წინა ოთხშაბათს შევუერთდი — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ გუშინ, როცა დერბიში დავუკავშირდით — რა ვიცი, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, ფეხი აღარ მაწუხებს, მგონი, საბოლოოდ მოვშუშდი. რა თქმა უნდა, ჯერ სასურველ ფორმაში არ ვარ, ეს მწვრთნელმაც მითხრა, თუმც არა უშავს, „ლივერპულთან" თამაშამდე კიდევ ათი დღეა და უკეთ მოსამზადებლად დრო მაქვს. ჯიმ სმიტი დამპირდა, ლივერპულში გათამაშებო, მაგრამ ის გამორიცხულია, ძირითად შემადგენლობაში რომ ვიყო. ალბათ 20 წუთს, ნახევარ საათს ვითამაშებ, ჩემთვის ესეც საქმეა. თანაც იქამდე „დერბის" რამდენიმე ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი და საქართველოს ნაკრების თამაშისთვის, კარგად მოვემზადები. დღესდღეობით საფიქრალიც ეგ მაქვს, რუმინელებს სასურველ ფორმაში უნდა დავუხვდე.

აი, ასე — ექიმების ერთმა მცდარმა დიაგნოზმა გიორგი ქინქლაძე ამდენ ხანს ჩამოაშორა ფეხბურთს. თურმე ნერვი სტკიოდა და უთხრეს, საზარდული გაწუხებსო. თითქმის ერთი თვეც ჩვენებურს უშედეგოდ უმკურნალეს.

ძოგა ინასარიძე


გიორგი დემეტრაძე „ალავესთან" თამაშით დაბრუნდება

# დემეტრაძე ბასკების საქმეში ჩაერევა

ესპანეთის „სოსიედადის" ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე მენისკის ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელდა და უკვე რამდენიმე დღეა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს, სალამოობით კი „სოსიედადის" ერთ-ერთი მწვრთნელის მეთვალყურეობით ინდივიდუალურად ემზადება.

ორშაბათს გიორგი დემეტრაძე „სოსიედადის" მწვრთნელს, უელსელ ჯონ ტოშაკსაც შეხვდა და დაახლოებით ნახევარ საათს ესაუბრა.

— ტოშაკმა თავად ისურვა ჩემთან შეხვედრა, მეც ნასიამოვნები ვარ. მწვრთნელს, შევატყვე, ჩემი დიდი იმედი აქვს, სათამაშო ტაქტიკაზე, გუნდის მომავალზე ვილაპარაკეთ. ბოლოს კი მითხრა, 25 მარტამდე სათამაშო ფორმის პიკს უნდა მიაღწიო, აპრილში ძალიან გაგვიჭირდება, პრიმერადივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი მატჩები გველისო — გვითხრა გიორგი დემეტრაძემ.

შეგახსენებთ, „სოსიედადის" ქართველს პრიმერადივიზიონში ჯერჯერობით სულ ოცი წუთი აქვს ნათამაშევი. დებიუტი სან სებასტიანში „სარაგოსას" წინააღმდეგ ჰქონდა 7 იანვარს, ორიოდ დღეში კი, გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე მძიმედ დაშავდა.

ახლა გიორგი დემეტრაძე ესპანეთის ჩემპიონატის უახლოესი ტურის მატჩსაც გამოტოვებს მადრიდში „რეალის" წინააღმდეგ. 18 მარტს კი, როცა „სოსიედადმა" ასევე ბასკურ „ალავესს" უნდა უმასპინძლოს, ალბათ ითამაშებს, ყოველ შემთხვევაში, მას ამისი იმედი აქვს.

ძოგა ინასარიძე

# მე კიდევ გავფრინდები

## დევაძე და ფოცხვერია ვარჯიშს ერთ თვეში დაიწყებენ

...კოჭლობით შემოაბიჯა „თემურ სტეფანიაზე". მინდორს თვალი გადაავლო. ჩვეულებრივი, უდარდელი გამომეტყველება ჰქონდა. ნაცნობ-მეგობრებს გაესაუბრა, მერე მოთელვაზე გასულ მოთამაშეებს დააკვირდა, ერთხანს თვალი არ მოუწყვეტია მოვარჯიშეებისთვის.

უცბად მობრუნდა და ხმამაღლა, ჩემს გასაგონად დაიძახა — მე კიდევ გავფრინდები!

აკაკი დევაძემ საშემოდგომო ეტაპის მიწურულს მუხლი საშინლად დაიზიანა. მერ იყო ოპერაცია მოსკოვში და ყავარჯნები...

დღეს ყავარჯენი ხელჯოხმა შეცვალა, აღდგენითი პროცესიც კარგად მიდის. სრულ გამოჯანმრთელებამდე არც ისე დიდი დროა, ერთ თვეში დევაძე ვარჯიშს დაიწყებს.

თბილისურ „მერანს" ურიგო მეკარეები როდი ჰყავს. რევაზ ნაჭყეპიასა და ანდრო კოროშინაძეს ჩვენში სოლიდურ, გამოცდილ და საიმედო გოლკიპერებად იცნობენ, მაგრამ ბევრი დამეთანხმება, კაკო სულ სხვა, უფრო მაღალი დონეა.

ადრინდელივით ხათაბალიანია დევაძე. „სიონთან" მატჩი ფეხზე მდგომმა გაატარა. ერთ მომენტში აუტზე გადასულ და მისკენ მქროლავ ბურთს წაეტანა. ხელჯოხს ხელი უშვა, ჰაერში აიწია და ბურთი დაიჭირა. დაშვებისას წამით შეცბუნდა, ბედმა ამჯერად არ უმუხთლა, მყარად დადგა ფეხზე. ავჭალელები კი იმედოვნებენ, რომ დევაძე ერთ თვეში მწყობრში ჩადგება.

„მერანის" ერთ პრობლემაზე მოგახსენეთ და დანარჩენებზეც ვთქვათ. უკრაინიდან საქართველოში დაბრუნებული, „შახტარიდან" საბოლოოდ გამოხსნილი მიხეილ ფოცხვერია საშემოდგომო ეტაპის ბოლომდე რომ დაშავდა, ადრეც გაუწყეთ.

მიშამ ოპერაცია თბილისში გაიკეთა, აღდგენითი პროცესიც კარგად დაიწყო, მაგრამ ფეხბურთელს მორიგმა უბედობამ (იმედი ვიქონიოთ, ბოლომ ფოცხვერიას კარიერაში) უწია. ნაოპერაციევში ინფექცია შეეჭრა, მკურნალობის პროცესიც მეტად გაიწელა.

ფოცხვერიამ ყავარჯნები ახლახან გადააგდო და დევაძის დარად ისიც ერთ თვეში სრული დატვირთვით ივარჯიშებს — თქვეს ავჭალელებმა.

„სიონთან" მატჩი ტრავმის გამო კიდევ ერთმა მერანელმა, შალვა ხუჯაძემ გამოტოვა. შალვას ფეხი აწუხებდა, თუმც საშიში არაფერია, გუშინ უკვე ივარჯიშა და მალეც ითამაშებსო, გვითხრა ავჭალელთა თავკაცმა ოთარ გაბელიამ.

რაც შეეხება მიხეილ ხუციშვილის სატრანსფერო ფურცელს, „მერანის" ხელმძღვანელები მას ყოველ წუთს ელიან და არ არის გამორიცხული, „დინამოსთან" მეოცე ტურის მატჩში ათამაშონ კიდეც.

დათო დანელია


მიხეილ ფოცხვერია


აკაკი დევაძე


მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას

„ვარსკვლავები"

ღონისძიების ორგანიზატორები შ.პ.ს. „ვერიტა", სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა რადიო „ფორტუნა" და „ფორტუნა პლიუსი", გაზეთები „ლელო", „ალია", „სარბიელი".

გენერალური სპონსორი მაგთი GSM

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

106,9 FM FORTUNA ფორტუნა

სარბიელი


## ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის
საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის,
გუნდის, გოლის
გამოსავლენად ტარდება ფეხბურთის გულშემატკივართა,
სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და
ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი ..............................
2. საუკეთესო მეკარე ..............................
3. საუკეთესო მცველი ..............................
4. საუკეთესო ნახევარმცველი ..............................
5. საუკეთესო თავდამსხმელი ..............................
6. საუკეთესო მწვრთნელი ..............................
7. საუკეთესო მსაჯი ..............................
8. საუკეთესო გუნდი ..............................
9. მნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი ..............................

..............................

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების გასაღების პუნქტებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99 96 43; 99 56 14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

WWW. gff. ge - ვებ გვერდი

gff@ acces. sanet. ge - E-mail

# იყიდება ადგილები

**დლეიდან** საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების თამაშებზე დასაწრები აბონემენტების გაყიდვას იწყებს, რომლის მფლობელებსაც საშუალება ექნებათ ეროვნული გუნდის ყველა იმ ოფიციალურ და ერთ ამხანაგურ მატჩს დაესწრონ, რომლებიც 2001 წელს ჩატარდება.

სულ დაბეჭდილია 1 000 აბონემენტი, თითოეულის ღირებულება 50 ლარია. 28 მარტს რუმინეთის, 24 აპრილს ისრაელის, 2 ივნისს იტალიის, 1 სექტემბერს უნგრეთისა და 5 სექტემბერს ლიტვის ნაკრებებთან მატჩებზე აბონემენტების პატრონებს ეროვნული სტადიონის „A“ ლოჟაში, ანაც მეორე იარუსის 8-9 სექტორებში შეეძლებათ მოკალათება. იმ შემთხვევაში კი, თუ საქართველოს ნაკრები სტუმრებს ეროვნულის გარდა სხვა სტადიონზე დაუხვდება, ფეხბურთის ფედერაცია აბონემენტის მფლობელთათვის სპეციალურ ადგილებს გამოყოფს და ყველაფერს უპრობლემოდ მოაგვარებს. სხვათა შორის, აბონემენტში ჩანართიცაა და ამ საკითხთან დაკავშირებულ დამატებით ინფორმაციას ქომაგი იქვე წაიკითხავს.

ერთი კი უკვე ნაღდია — 28 მარტს საქართველო რუმინეთს სწორედ „ეროვნულზე“ უმასპინძლებს. საამატჩო ბილეთების გაყიდვა კი, ალბათ, ორშაბათიდან დაიწყება. დასავლეთ ტრიბუნაზე დასხდომის მსურველთ 10 ლარის გადახდა მოუწევთ, აღმოსავლეთით — 7 ლარის.

**ლუკა თალაკვაძე**



გოგი დემეტრაძე

# თსუ-ს და მეტრეველს განაჩენი დემეტრაძემ გამოუტანა

**გუშინ** ტრადიციულმა ადგილმა, ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიის რექტორის ომარ გოგიაშვილის კაბინეტმა, სადისციპლინო კომიტეტის სხდომას უმასპინძლა. დისციპლინარები წლეულს პირველად შეიკრიბნენ.

უმაღლესი და პირველი ლიგის ჩემპიონატები რამდენიმე დღეა, რაც განახლდა. შესაბამისად, გუშინდელ სხდომაზე გასარჩევ-გადასაწყვეტი ბევრიც არაფერი ყოფილა. ძირითადი თემა საშემოდგომო საკითხი იყო — სადისციპლინო კომიტეტმა გუშინღა შეაჯამა საბოლოოდ 28 ნოემბერს ზუგდიდში მომხდარი ინციდენტი.

მომხდარს მოკლედ შეგახსენებთ. 28 ნოემბერს „ზუგდიდი“ ქობულეთის „შუქურას“ ბოლო წუთამდე უგებდა. მეშკოვის საფინალო სასტვენამდე სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, ალექსანდრე მეშკოვს კი საფინალო ჩასტვენა იმ დღეს არ ღირსებია, მოედანზე „ზუგდიდის“ პრეზიდენტი გელა ბუკია და გუნდის სპონსორი ბეჟან გუნავა შეიჭრნენ. მათ ვაი-გულშემატკივრებიც აყვნენ და შავი დღე დააყენეს შავოსნებს...

27 დეკემბერს სადისციპლინო კომიტეტმა „ზუგდიდს“ ტექნიკური დამარცხება ჩაუთვალა, გელა ბუკიას კი ფეხბურთში საქმიანობა აუკრძალა და მომხდარის განხილვა სამეგრელოს რეგიონულ ფედერაციას დაავალა. ამის მერე ვიტყვით ჩვენ საბოლოო სიტყვასო, თქვეს მაშინ დისციპლინარებმა.

როგორც გუშინ გაირკვა, სამეგრელოს რეგიონულმა ფედერაციამ განიხილა ეს საქმე და „ზუგდიდს“ დარჩენილ საშინაო მატჩებში პირობითი დისკვალიფიკაცია მისცა სეზონის ბოლომდე. საბოლოო სიტყვა გუშინ სადისციპლინო კომიტეტმაც თქვა და რეგიონული ფედერაციის გადაწყვეტილებას ხუთასლარიანი ჯარიმა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციაც წაუმატა. ამრიგად, სფფ-სთან ჯერაც ვალში მყოფი „ზუგდიდი“ დამატებით ხუთას ლარსაც გადაიხდის და უახლოეს საშინაო მატჩს „ხობთან“ 17 მარტს ნეიტრალურ მოედანზე (სავარაუდოდ სენაკში) ითამაშებს.

გუშინდელ სხდომაზე ერთმატჩიანი და 50-ლარიანი ჯარიმა მისცეს თსუელ ზვიად გვაზავას. 4 მარტს თსუ — „გორდას“ მატჩის მიწურულს ეს ფეხბურთელი მეორე ყვითელი ბარათით ალექსანდრე კრიჭაშვილმა მოედნიდან გააძევა.

თსუ-ს ფეხბურთელმა 28 თებერვალს, საგაზაფხულო ეტაპის პირველსავე ტურშიც „გამოიჩინა“ თავი. ზურაბ მეტრეველიც „იბერიასთან“ მატჩში მეორე ყვითელი ბარათით მიაბრძანეს მოედნიდან, მაგრამ ფეხბურთელს გასვლა არ უჩქარია. გზა მოედნიდან გასახდელამდე „ნაყოფიერად გამოიყენა“ და სათადარიგო არბიტრ მალხაზ მაისურაძეს აგინა.

ამ საკითხის გარჩევისას სხდომას სადისციპლინო კომიტეტის წევრი გოგი დემეტრაძე შემოესწრო, მისმა კოლეგამ, გურამ ძაგნიამ, მოსწრებულად იხუმრა, გოგი, ლექტორი კაცი ხარ, თსუ-ს და მეტრეველის საქმე შენ გადაწყვიტეო. განაჩენსაც არ დაუგვიანია: ზურაბ მეტრეველი სამი მატჩით მოცდება და 150 ლარსაც გადაიხდის.

**ბაადა ძვანტალიანი**

# ტორპედო მეორედ დაიწყებს

**არასრულად** ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპის პირველივე ტური. 28 თებერვალს „მერანი“ — „ტორპედოს“ მატჩი გადაიდო. მიზეზი ქუთაისელთა ეროვნულ ნაკრებში გამოძახება გახლდათ. ძოძუაშვილი-ყიფიანის გუნდმა ხომ 26 თებერვალს კიოლნში ითამაშა ამხანაგურად.

სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტში გადადებული მატჩის ჩატარებას 7 მარტისთვის ვარაუდობდნენ, თუმც უკვე გადაწყვეტილია, რომ ეს შეხვედრა ოთხშაბათს, 14 მარტს გაიმართება.

ამრიგად, ავჭალელები ხუთი დღის ინტერვალში ორ უმძიმეს მატჩს გამართავენ შინაურ სარბიელზე — 14 მარტამდე და „ტორპედომდე“ „მერანი“ 10 მარტს „დინამოს“ შეხვდება „სინათლეზე“.

**ბაადა ძვანტალიანი**

# 22 წლის ძველი

## დინამოსა და მეგობრის ცრემლზე

***თბილისის „დინამოს“ 22 წლის მარცხენაფლანგელი არჩილ სახვაძე გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და ჩვენს ჩემპიონატში ამ პოზიციაზე ალბათ საუკეთესოცაა. შედეგად ახალგაზრდული ნაკრების ექსკაპიტანი ახლა ეროვნულის კანდიდატია, რაც ამ ცოტა ხნის წინ რევაზ ძოძუაშვილმაც დაადასტურა. გულშემატკივართა ფართო წრისთვის სახვაძე 5 წლის წინ გახდა ცნობილი, როცა ის რატი ალექსიძესთან ერთად ლონდონის „ჩელსიმ“ სტაჟირებაზე მიიწვია. არისტოკრატთა გუნდიდან მობრუნებული დინამოელების გზები კი გაიყარა — „დინამოს“ იმდროინდელმა თავკაცმა დავით ყიფიანმა ალექსიძე ძირითადი შემადგენლობისთვის შეიგულა, აჩიკოს კი იმხანად ამის პერსპექტივა არ გამოუჩნდა და განათხოვრების წესით თსუ-ში გადავიდა. ჩვენი ინტერვიუც არჩილ სახვაძესთან სწორედ აქედან დავიწყეთ.***



არჩილ სახვაძე (№6) დინამოს ერთგულია

ბაჩო ძიძიშვილის ფოტო

**— მაშინ „დინამო“ დატოვე, მაგრამ ეს სასიკეთოდ ნაღდად არ წაგადგა...**

— მართალია, თსუ-ში დიდხანს ვერ გავჩერდი, იქ სულ რამდენიმე თვე დავყავი. საქმე ისაა, რომ თბილისის „დინამო“ ჩემთვის განსაკუთრებულად ძვირფასია და როცა იქიდან წამოვედი, ფსიქოლოგიურად ძალიან გამიჭირდა — ვერ შევეგუე ახალ გუნდს. არადა, ძირითად შემადგენლობაში მსურდა თამაში. ასაკიც ისეთი მქონდა, რომ შინაგანად მობილიზება ერთობ ძნელი გამოდგა ჩემთვის და ფეხბურთისთვის თავის დანებებასაც კი ვაპირებდი.

**— მაგრამ ისევ „დინამოს“ მეორე გუნდში დაბრუნება ამჯობინე.**

— დავბრუნდი „დინამოში“ და რამდენიმე საკონტროლო თამაში ჩავატარე. ყველაფერი კარგად აეწყო. იმდროინდელი „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწემ, ნოდარ აკობიამ მითხრა, უკვე შეგწევს ძალა, „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდეო. ჩემთვის ეს დიდი სტიმული იყო და დავით ყიფიანმაც რამდენჯერმე მათამაშა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში.

შემდეგ გუნდს მურთაზ ხურცილავა ჩაუდგა სათავეში, ისიც კარგი თვალით მიყურებდა და მეც, ასე ვთქვათ, ნელ-ნელა ვიკიდებდი ფეხს „დინამოს“ ძირითადში.

**— მერე დადგა იოჰან ბოსკამპის ხანა. ჰოლანდიელი გაქებდა და ამბობდა, ეს ბიჭი ეროვნული გუნდის კანდიდატად მეგულებაო.**

— ის მართლაც სიმპათიით იყო განწყობილი ჩემს მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ მისი შვილობილიც კი ვიყავი. კარგ ფორმაში გახლდით და „დინამოს“ ძირითადშიც ადგილი დამკვიდრებული მქონდა. მაგრამ მერე, მოგეხსენებათ, ბოსკამპი „დინამოდან“ მალე წავიდა და მხოლოდ ნაკრებს წვრთნიდა. როცა ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი და ეროვნულთან ერთად სლოვენიაში ჩავედით, ბოსკამპმა მითხრა, შენი „გენკში“ წაყვანა მინდოდა, „დინამოს“ ხელმძღვანელობას ამის შესახებ შევატყობინე და რატომ არ გამომეხმაურეო. ვუპასუხე, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს-მეთქი. ბოსკამპიც მიხვდა, რომ აზრი აღარ ჰქონდა „გენკში“ ჩემი ტრანსფერის გაჩარხვის მცდელობას.

**— წინა სეზონი წარუმატებელი გამოდგა „დინამოსთვის“ — პირველი შემთხვევა იყო, რომ გუნდი ჩემპიონი ვერ გახდა...**

— ეს მხოლოდ კლუბში შექმნილი არეულობისა და ცუდი სიტუაციის ბრალია, სტრუქტურა ფაქტობრივად მოიშალა. თამაშის ხალისი აღარ გვქონდა და ნერვებიც გვღალატობდა. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის მეორე წრე და თასის გათამაშებაც დაუმარცხებლად ჩავამთავრეთ, თამაში არ წაგვიგია.

**— „დინამოს“ არც მაშინ ულხინდა, როცა მის გაწვრთნას რევაზ არველაძე შეუდგა, მაგრამ გუნდი ადრინდელთან შედარებით უფრო მეტი შემართებით ათამაშდა.**

— რევაზ არველაძის მთავარ მწვრთნელად მოსვლის დროსაც იგივე სიტუაცია იყო გუნდში, მაგრამ მერე სხვაგვარად წარიმართა საქმე. არველაძე ბოლო დროს ხომ ჩვენს გვერდით თამაშობდა „დინამოში“ და ფეხბურთელებთანაც გაცილებით მეგობრული დამოკიდებულება აქვს. ბიჭებიც გვერდში დავუდექით. ფინანსური პირობების მხრივ კვლავ ცუდად იყო საქმე, ჩვენ ამით უკმაყოფილონი კი ვიყავით, მაგრამ რეზოს პატივისცემით ვთამაშობდით. მასაც კარგად ესმოდა ჩვენი, გვამხნევებდა და ყველაფერს აკეთებდა, თითოეულ მატჩისთვის საბრძოლველად განეწყო გუნდი. ვთვლი, რომ ყოველივე ამის ფონზე საშემდგომო ეტაპზე კარგი შედეგი ვაჩვენეთ. ხოლო რაც შეეხება რევაზ არველაძეს, ასეთ სიტუაციაში მის გარდა ვინც არ უნდა მოსულიყო მთავარ მწვრთნელად, „დინამო“ დღეს აღარ იარსებებდა.

**— საგაზაფხულო ეტაპისთვის შენი „დინამოში“ თამაში სათუო გახდა. ავსტრიულ „რიდში“ იყავი, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა, მერე ქუთაისის „ტორპედო“ გეპატიჟებოდა.**

— „რიდში“ ჩემი გადასვლა გაუგებრობის გამო არ მოხერხდა. ავსტრიელები მაისის ბოლოსთვის მელიან, როცა სატრანსფერო სეზონი გაიხსნება, თუმც მანამდე ეგებ უკეთესი ვარიანტიც გამოჩნდეს. რაც შეეხება ქართულ კლუბებს, გეტყვით, რომ საქართველოში „დინამოს“ გარდა არც ერთ გუნდში არ მსურს თამაში. ამას უბრალოდ ვერ შევძლებ. „დინამო“ მართლაც სულ სხვაა თანაც ექვსი წელია, რაც მისი წევრი ვარ. „დინამო“ ალბათ ყველა ფეხბურთელისთვის განსაკუთრებულია. როცა რატი ალექსიძის „ჩელსიში“ გადასვლა გადაწყდა და ის დილმის ბაზაზე თავისი ოთახიდან ნივთების გამოლაგებას შეუდგა, თვალებზე ცრემლიც კი მოადგა.

**— „დინამო“ კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, მაგრამ შანსი, ალბათ, არც თუ დიდი აქვს.**

— ყველაფერს დრო გვიჩვენებს. ბრძოლით კი ნაღდად მთელი შემართებით ვიბრძოლებთ.

მე ჯერ არ ვარ ოპტიმალურ ფორმაში. გორის „დილასთან“ ჩემი თამაშით ერთობ უკმაყოფილო ვარ. სხვადასხვა მიზეზთა გამო ერთ კვირაზე მეტია, რაც ვარჯიში განვაახლე. ალბათ ათი დღე კიდევ დამჭირდება, ჩვეული ფორმა რომ დავიბრუნო.

**— შენი კოზირი სისწრაფე და ფლანგური ჩაწოდებებია. კუთხურებსაც ეფექტურად აწვდი და შეგიძლია, აუტიდან ბურთი შორ მანძილზე ისროლო. ყველაფერ ამაზე ალბათ საგანგებოდ ვარჯიშობდი.**

— არა, ეს თვისებები თანდაყოლილია, ბუნებისგან ბოძებული.

**— კეთილი, მაგრამ კუთხურებს „დინამო“ ალბათ ნაღდად ვარჯიშებზე ამუშავებს.**

— არველაძის იდეაა, რომ მარჯვენა ფლანგიდან კუთხურები მე მოვაწოდო, მარცხნიდან კი ზამთარაძემ. „დინამოს“ კუთხურები მართლაც ძალიან სახიფათოა მეტოქისთვის.

**— არჩილ სახვაძეს ნაკლი კი ისაა, რომ ბურთის ართმევაში მოიკოჭლებს...**

— მართალია, უკან ისე ვერ ვთამაშობ, როგორც წინ. ამის შესახებ ხშირად უთქვამს ჩემთვის მწვრთნელებს. ამ ნაკლის გამოსწორებაზე ვმუშაობ, ვცდილობ, ართმევაზე თამაში გავაუმჯობესო.

**ეროვნული გუნდის კანდიდატად ითვლები და თავად როგორ უყურებ ამ ეტაპზე ნაკრებში თამაშის პერსპექტივას?**

— ვთვლი, რომ დღესდღეობით ნაკრებში თამაშისთვის მზად არ ვარ. აი, როცა ჩვენი ჩემპიონატი გახურდება, რამდენიმე მატჩს ჩავატარებ და კარგ ფორმაში შევალ, მერე უკვე ნაკრების მწვრთნელების გადასაწყვეტი იქნება ყოველივე. ეროვნულ გუნდში თამაში, ცხადია, ძალიან მინდა. თუ ფეხბურთელს ნაკრებში ყოფნა არ სურს, მას ალბათ ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებს.

**დავით თავართქილაძე**

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური. C ჯგუფი



სიდნეი გოვუმ მიუნხენელებს თავი დაამახსოვრა

### ლიონი 3:0 ბაიერნი

**1:0, 2:0 გოვუ (13, 20), 3:0 ლეგლი (71)**
**ლიონი: კუპე, დეგლანდრე, კაკაპა, ბრეშე, დელმოტი, ვიოლო, ლინარესი, ლეგლი, დორასო (მალბრანკი 87), ს. ანდერსონი (მანელე 74), გოვუ (ლოკო 83)**
**მწვრთნელი: ჟაკ სანტინი**
**ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური (იანკერი 46), პ. ანდერსონი, ლინკე, ტარნატი, იერემისი, სალიჰამიჯიჩი (შოლი 71), ეფენბერგი, ელბერი, პაულო სერჟიო**
**მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი**
**გაფრთხილება: გოვუ, ლეგლი, ლინკე, დეგლანდრე, კუპე, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი**
**მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)**
**40 000 მაყურებელი**

**„ეს** დიდებული საღამო ლამის საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში. თავი ზღაპარში მგონია... რა უნდა ვთქვა თამაშზე, რომელიც 3:0 დამთავრდა? როცა თანაგუნდელებს ვუცქერ, სიამაყის გრძნობა მიჩნდება. ახლა, მეოთხედფინალში გასასვლელად მოსკოვში აუცილებლად უნდა მოვუგოთ „სპარტაკს“. მჯერა, რომ ასეც მოხდება“ — მატჩის გმირი, 21 წლის სიდნეი გოვუ სიხარულისგან ადგილს ვერ პოულობდა. არც გაემტყუნებოდა, „ლიონის“ ძირითადის მოთამაშე არ არის და მოედანზეც იმიტომ გამოჩნდა, რომ სტივ მარლე არ თამაშობდა. გამოჩნდა და ორჯერ ცხრიანებში ისეთები გაჭედა, მარლეს კი არა, ზიდანს შეშურდებოდა.

სამშაბათს „ლიონმა“ პატარა სასწაული მოახდინა, „ბაიერნს“ 3:0 მოუგო და მეოთხედფინალში გასვლა სათუო გაუხადა. ახლა, თუ ბოლო ტურში გერმანელებმა „არსენალთან“ წააგეს, ხოლო ფრანგებმა მოსკოვში მოიგეს, ოტმარ ჰიცფელდის ნაქები ბიჭები ევროელიტის მიღმა დარჩებიან.

არადა, „ლიონს“ ფრიადი პრობლემები ჰქონდა, არ ჰყავდა დისკვალიფიცირებული მარლე, ცენტრალური მცველები, შვეიცარიელი მიულერი და ბრაზილიელი ედმილსონი, რომელიც ქვეყნის ნაკრებში გახლდათ გამოძახებული. ასევე კამერუნელი მარკ-ვივიენ ფოე.

„ბაიერნს“, რომელმაც საფრანგეთში ბოლო ექვსი სტუმრობიდან მეოთხედ წააგო, უკვე მე-3 წუთზე შეეძლო დაწინაურება, მაგრამ პაულო სერჟიომ ახლოდან ააცილა. მალე გოვუს ჯერიც დადგა. ჯერ სტუმართა საჯარიმოში წაიქცა და მსაჯისგან ყვითელი მიიღო, მერე ანდერსონსა და ლეგლთან გათამაშებულ კომბინაციას ლონიერი დარტყმა და პირველი გოლი მიაყოლა. კიდევ შვიდ წუთში, გოვუმ ორი მიუნხენელი მოატყუა და მეორე, კვლავ ულამაზესი ბურთი შეაგდო. „ლიონი“ მერეც მინდვრის ბატონ-პატრონად დარჩა. მანამ, სანამ „ბაიერნი“ გონს მოვიდოდა, თავის გამოჩენა კიდევ მართებდათ, მაგრამ ჰიცფელდის გუნდი ნელ-ნელა დაწყნარდა და მცირე უპირატესობაც მოიპოვა. ლინკეს და იერემისს გატანამდე ცოტა დააკლდათ.

მეორე ტაიმში ბავარიელებმა ისევ გაიბრძოლეს, მაგრამ პიერ ლეგლის ცაციამ ოლივერ კანის კარის ბადეში მესამედ აფართხალა ბურთი და ნაქებ გერმანელებს მთლად თავს ლაფი დაასხა.

გაუჭირდა „ბაიერნს“, ჯერ იყო და, ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ჰანზასთან“ წააგო და ლიდერობა „დორტმუნდს“ დაუთმო, ახლა კი ჩემპიონთა ლიგაში ყოფნა-არყოფნაც საკითხავი გაიხადა: „გაწბილებული გახლავართ, ჩვენი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ. თუმცა, ვაღიარებ, რომ მოწინააღმდეგედ ჩინებული გუნდი გვყავდა. ისინი ერთობ სხარტად თამაშობდნენ და ოსტატურად იცავდნენ თავს“ — განაცხადა ოტმარ ჰიცფელდმა. მისი ლიონელი კოლეგა ჟაკ სანტინი კი სიხარულისგან გაბადრულიყო: „ვიცოდი, რომ ბიჭებს „ბაიერნის“ არ ეშინოდათ და მოგებაც ძალუძდათ, მაგრამ შედეგით აღფრთოვანებული ვარ. ახლა ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია. სიდნეი გოვუმ კი გვიჩვენა, რომ „ლიონში“ შეუცვლელი არავინაა...“

### არსენალი 1:0 სპარტაკი

**1:0 ანრი (82)**
**არსენალი: სიმენი, დიქსონი, გრიმანდი, ადამსი, ეშლი კოული, ლორენი, ვიეირა, ლიუნგბერგი, პირესი (ვილტორდი 73), ბერხკამპი (კანუ 73), ანრი (ვივასი 90)**
**მწვრთნელი: არსენ ვენგერი**
**სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, პარფიონოვი, მიტრესკი, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი (ბესჩასტნი 54), კალინიჩენკო, ირისმეტოვი, რობსონი**
**მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი**
**მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)**
**35 196 მაყურებელი**

**უჩვეულო,** შავი ფორმით მოთამაშე „სპარტაკმა“ გადამწყვეტ მატჩში ვერაფერი დააკლო „არსენალს“ და დამსახურებულად წააგო. მოსკოველებმა ლიგის მეორე ეტაპი სწორედ მეთოფეებთან შთამბეჭდავი მოგებით დაიწყეს, მაგრამ მერე ზედიზედ ოთხჯერ წააგეს, თანაც ისე, რომ ბურთი არ გაუტანიათ და სამშაბათს „ჰაიბერიზე“ მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსიც დაკარგეს.

„არსენალს“ თითქმის ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად ჰყავდა, თუ არ გავიხსენებთ უკვე კარგა ხნის დაშავებულ კიოუნს. შემადგენლობის პრობლემა არც „სპარტაკს“ აწუხებდა, მაგრამ რუსებმა უნიათოდ ითამაშეს და რაც მოუვიდათ, საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

მასპინძლებმა თავიდანვე მწვავედ შეუტიეს და ვიეირას დებიუტშივე შეეძლო გატანა, მაგრამ ოდნავ ააცილა. პირველ ტაიმში მეთოფეებმა ათი კუთხური მოაწოდეს, რაც მათი უპირატესობის ნათელი დასტურია. სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. ერთხელ ლონდონელებმა ზედიზედ ოთხი კუთხური მოაწოდეს, რამაც რუსთა მწვრთნელს, რომანცევს მოთმინების ფიალა აუვსო და თავისი ჯილა, ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი ეგორ ტიტოვი სასწრაფოდ შეცვალა. ტიტოვი მართლაც არაფრის მაქნისი გახლდათ.

გოლი კი, გოლი, ცხადია, ტიერი ანრიმ გაიტანა. დამთავრებამდე რვა წუთით ადრე, მორიგ კუთხურს ანრის მაღალი ნახტომი და გამოზომილი თავური მოჰყვა.

„არსენალი“ უფრო ძლიერი იყო და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ თამაშიდან თამაშამდე სულ უფრო ცუდად ვირჯებით. შესაძლოა, გრძელი საზამთრო შესვენების ბრალია“ — ასეთი გახლდათ ოლეგ რომანცევის კომენტარი. არსენ ვენგერს კი მიაჩნია, რომ უძნელესი თამაში მოიგეს: „სპარტაკის“ დარ გუნდებთან ყოველთვის რთულია თამაში. შეიძლებოდა ამავე ანგარიშით მათაც მოეგოთ, მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ახლა მთელი ყურადღება „ბაიერნთან“ მატჩისკენაა მიპყრობილი. მომავალ კვირას, ვფიქრობ, საინტერესო თამაშის მომსწრენი გავხდებით. ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოლებს, სასწორზე ხომ მეოთხედფინალში გასვლა დევს“.




ერთადერთი და შანსის მომცემი გოლის ავტორი ტიერი ანრი

**სოლომონ გულისაშვილი**

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 14.03 | 1:0 | 1:0 | 7:5 | 10 |
| 2 | არსენალი | 2:2 | | 1:1 | 1:0 | 6:7 | 8 |
| 3 | ლიონი | 3:0 | 0:1 | | 3:0 | 7:3 | 7 |
| 4 | სპარტაკი | 0:3 | 4:1 | 14.03 | | 4:9 | 3 |

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური. D ჯგუფი

### რეალი 3:2 ლიდსი

**0:1 სმიტი (6), 1:1 რაული (7), 2:1 ფიგუ (41), 2:2 ვიდუკა (54), 3:2 რაული (60)**
**რეალი: სესარი, ჯერემი, კარანკა, იერო, სოლარი, მაკელელე (სავიო 87), სელადესი, მაკმანამანი, ფიგუ (რივერა 88), რაული, მორიენტესი (მუნიტისი 76)**
**მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე**
**ლიდსი: მარტინი, ჰარტი, ფერდინანდი, რადებე (კელი 65), მატეო, დაკური, ბაკე (უილკოქსი 86), ბეტი, კოუელი, ვიდუკა, სმიტი**
**მწვრთნელი: დევიდ ოლირი**
**გაფრთხილება: ბეტი, კოუელი, მაკელელე, ფიგუ**
**მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)**
**45 000 მაყურებელი**

**წინა** ტურში „რეალმა“ ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა, ახლა კი - პირველი ადგილიც. ეს ნიშნავს, რომ მეოთხედფინალში მადრიდელებს სხვა ჯგუფის მეორეადგილოსანი შეხვდება და საპასუხო მატჩს შინ ჩაატარებენ.

ანგარიში „ლიდსმა“ გახსნა და ძალიან სწრაფადაც. მე-6 წუთზე მარკ ვიდუკა მარჯვენა ფლანგზე აიტორ კარანკას გაექცა და უზუსტესი პასი მისცა კარისკენ გაქცეულ ალან სმიტს. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმაც (არადა, თითქმის ოფსაიდშიც იყო) მშვიდად შეაგორა ბურთი კარში.

ხომ გახსოვთ, როგორ გაუტანა „რეალმა“ „ბარსელონას“ მეორე გოლი? ცენტრიდან დაიწყო და ეგრევე შეაგდო. როგორც ჩანს, უსწრაფესად საპასუხოს გატანა „რეალის“ ხელწერად იქცა. მე-7 წუთზე ლუიშ ფიგუმ ჯარიმიდან ძელთან ახლოს ჩააწოდა, სადაც ბურთს რაულის ხელი ელოდა.

მადრიდელმა ვარსკვლავმა გოლი მარადონასგან ნასესხები „ღვთის ხელით“ რომ გაიტანა, მსაჯის გარდა ყველამ შენიშნა. ლიდსელებმა ერთი კი გააპროტესტეს, მაგრამ რადგან მატჩი პრინციპული არ იყო, თავი განსაკუთრებით არ გამოუდიათ.

„რეალის“ პირველ გოლს მეორეც ასეთივე მოჰყვა. მარჯვენა ფლანგზე ფიგუ დომინიკ მატეოს გაექცა და საჯარიმოში ჩააწოდა. იქ მინდორზე დავარდნილმა ბურთმა რაღაც უცნაურად შეიცვალა ტრაექტორია და ნაიჯელ მარტინის კარში აღმოჩნდა. თავად ფიგუმაც მხრები აიჩეჩა, ეს რა უჩვეულო გოლი გავიტანეო. აქაც „რეალი“ — „ბარსელონა“ გვახსენდება. მაშინ რობერტო კარლოსმა კარში დაარტყა და ჩაწოდება გამოუვიდა, ფიგუს კი — პირიქით.

მეორე ტაიმში მეტოქეებმა თითოც გაიტანეს. ჯერ მარკ ვიდუკამ იხეირა, რომელმაც კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავით მიუჩინა ადგილი. გამარჯვებისა კი, ასევე თავით, რაულმა გაიტანა, რომელმაც ფიგუს ჩაწოდებული გამოიყენა.

გუნდებს კიდევ ჰქონდათ რამდენიმე კარგი მომენტი, თუნდაც მაშინ, როცა მატჩის მიწურულს ვიდუკამ ხარიხას გაარტყა.

ერთი საკითხიც. შორიდან ისე ჩანს, თითქოს ვისენტე დელ ბოსკე შეცდა, როცა მინდორზე იკერ კასილიასის გარდა სასტარტო შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ათამაშა (რობერტო კარლოსი და ივან ელგერა, შესაბამისად, ნაკრებში გამოძახებისა და დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაიხმარა). ხომ არ აჯობებდა, ხალხი დაესვენებინა და სხვათათვის მიეცა თამაშის საშუალება? მაგრამ მწვრთნელმა, ალბათ, უკეთ იცის თავისი საქმე, უთქვამს, რაულის და ფიგუს უქმობას ჯობს, ითამაშონ და ბოლომდე დახარჯვა არ მოვთხოვოო.

დაბოლოს. მატჩის შემდეგ პოლონელი არბიტრი ლიდსელთა გასახდელში შევიდა და თითოეულ ფეხბურთელს მოუბოდიშა, რაულმა ხელით რომ გაიტანა, ვერ შევნიშნეო.



რეალი — ლიდსი. ლიდსელმა მარკ ვიდუკამ ერთი თავად გაიტანა, ერთიც ალან სმიტს გაატანინა

### ლაციო 2:1 ანდერლეხტი

**1:0 კლაუდიო ლოპესი (40), 1:1 სტოიკა (49), 2:1 ბარონიო (77)**
**ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, კოლონესე, მიხაილოვიჩი, პესარეზი, პანკარო, ბარონიო, სტანკოვიჩი, რავანელი, კლაუდიო ლოპესი (ლუჩიანი 78), ს. ინძაგი**
**მწვრთნელი: დინო ძოფი**
**ანდერლეხტი: მილოშევიჩი, კრასონი (ვან დიემენი 82), დოლი, დეედენი, დე ბოეკი, ილიჩი, ჰასი (დინდანე 80), ვანდერეგე, გოორი, კოლერი (სტოიკა 46), რაძინსკი**
**მწვრთნელი: ემე ანტუნესი**
**გაფრთხილება: ილიჩი, ნეგრო, დეედენი, პესარეზი**
**მსაჯი: ხუან ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)**
**10 000 მაყურებელი**

**სატურნირო** თვალსაზრისით ამ არაფრისმომცემ მატჩს მასპინძელთათვის რაღაც დატვირთვა მაინც ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარეობის ამბავია, შემოდგომაზე ფავორიტად მიჩნეულ „ლაციოს“ ჯგუფში ერთი გამარჯვება მაინც უნდა მოეპოვებინა და ამით გულშემატკივართათვის ბოდიში მოეხადა.

ქომაგებს თავი მაინცდამაინც არ გამოუდიათ, თამაშის სანახავად მხოლოდ ათი ათასი კაცი მივიდა და გიგანტური „სტადიო ოლიმპიკოს“ ფონზე ამდენიც არ გამოჩნდა.

აი, ამ ცარიელ სტადიონზე „ლაციომ“ კლაუდიო ლოპესისა და ბარონიოს გოლებით 2:1 მოიგო — პირველი სალიგო გამარჯვება ბოლო ოთხი თვის მანძილზე. ამ სამმა ქულამ დინო ძოფის პირადი ანგარიშიც უფრო შთამბეჭდავი გახადა: თერთმეტ მატჩში რვა გამარჯვება.

ნოემბრის მერე კლაუდიო ლოპესი პირველად გამოჩნდა სასტარტო შემადგენლობაში და ტაიმის მიწურულს იშვიათი გოლიც გაიტანა — კუთხურიდან პირდაპირ კარში ჩაახვია. აქ ბელგიელთა მეკარე ზვონკო მილოშევიჩის უხეშ შეცდომაზეც შეიძლება ლაპარაკი, რომელსაც, ფაბრიციო რავანელის უკან მდგომს, ბურთი ხელებს შუა გაუძვრა.

სტუმრებს გასათანაბრებლად დიდი დრო არ დასჭირვებიათ და ცხრა წუთის შემდეგ იან კოლერის ნაცვლად შესულმა ალინ სტოიკამ ორი მცველისგან დაფარულ ლუკა მარკეჯანის გაუტანა.

თითქოს თამაში ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სერჯო კრანიოტისგან დაშინებულმა ბარონიომ, „პარმასთვის“ ფაბიო კანავაროს სანაცვლოდ ხურდაში მიცემას მიპირებსო, გამარჯვებისა შეაგდო. აღსანიშნავია, რომ ბარონიოს გაუმართლა — მისი დარტყმული ჯერ ბერტრან კრასონს მოხვდა და მიმართულება შეიცვალა.

მატჩის შემდეგ დინო ძოფმა თქვა, ჩვენთვის ახლა მთავარი იტალიის ჩემპიონატია, რის გამოც რამდენიმე ფეხბურთელი დავასვენეო. მან დიდად აქო კლაუდიო ლოპესი, აღფრთოვანებული ვარ მისი გამოჯანმრთელების ტემპით და დღევანდელი თამაშითო.

ამაზე ლოპესმა დაიმორცხვა, საუკეთესო ფორმამდე ჯერ ბევრი მიკლია, თუმცა თავს არ დავზოგავ და გუნდის სასიკეთოდ ბოლომდე დავიხარჯებიო.

**გიორგი დარჯანია**

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 3:2 | 3:2 | 4:1 | 14:7 | 13 |
| 2 | ლიდსი | 0:2 | | 14.03 | 2:1 | 9:7 | 9 |
| 3 | ლაციო | 2:2 | 0:1 | | 2:1 | 6:8 | 4 |
| 4 | ანდერლეხტი | 14.03 | 1:4 | 1:0 | | 5:12 | 3 |

# შენც მაგარი, მეც მაგარი...

UEFA CUP

## უეფას თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

### ბარსელონა — სელტა

დღეს „კამპ ნოუ“ თავის გმირებს მიესალმება. მერე რა, რომ მადრიდული შეხვედრა ფრედ დასრულდა, აბა, კატალონიელებს ჰკითხეთ, ვინ არის მორალური გამარჯვებული. იქამდე „ბარსელონამ“ უეფას თასის მერვედფინალში ბერძნულ აეკ-ს 5:0 მოუგო. მოკლედ, „ბარსა“ ძალიან კარგ ფორმაშია.

მასპინძლებს დღეს არ ეყოლებათ რივალდო — „სანტიაგო ბერნაბეუს“ გმირი, რადგან ბრაზილიის ნაკრებშია გამოძახებული. მაგრამ არც ეს და არც აბელარდოს ტრავმა ბარსელონელებს არ აშინებთ.

სამაგიეროდ, ცოტათი ეშინია მეტოქე გუნდის მწვრთნელს. ვიქტორ ფერნანდესმა თქვა: „ცხადია, „ბარსელონა“ ჩვენზე ძლიერია. ამასთანავე ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ და პრიმერადივიზიონში გამარჯვების არცთუ დიდი შანსის გამო, „ბარსელონა“ თავს დადებს და უეფას თასის მოგებას შეეცდება“.

ეს ფრთხილი კაცის სიტყვებია, თუმცა ფერნანდესს იმედი მთლად არ გადაუწურავს: „ბარსელონა“ ძალიან არასტაბილური გუნდია, შეუძლია, დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დიდებულად ითამაშოს და ხვალ ნაკლებმნიშვნელოვან შეხვედრაში შერცხვეს. ვფიქრობ, მეტოქის სწორედ ეს არასტაბილურობა უნდა გამოვიყენოთ“.

როგორ ითამაშებს დღეს „ბარსელონა“, წინასწარ აბა, ვის ეცოდინება, აი, „სელტას“ კი ბლომად ხალხი დააკლდება. კატანია და ხუან ველასკო დისკვალიფიცირებულნი არიან. მათ გარდა გალისიელებს მეკარე პაბლო კავალიერო, მცველი გორან ჯოროვიჩი და ნახევარმცველები — ჟუნიორ დორივა და ალბერტო ტომასი არ ეყოლებათ. ესეც ერთი მიზეზი იმისა, რომ პრიმერადივიზიონში ზედიზედ შვიდჯერ დაუმარცხებელ „სელტას“ ძალიან უნდა გაუჭირდეს.

ბარსელონელები კი ჯერაც მადრიდული წარმატებით ხარობენ. ისეთ ფორმაში ვართ, ურივალდოდაც გავამწარებთ ნებისმიერ მეტოქესო.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** რეინა, რაიციგერი, ფ. დე ბური, სერხი, გაბრი, გვარდიოლა, კოკუ, ხერარდი, ლუის ენრიკე, ოვერმარსი, კლუივერტი

**სელტა:** პინტო, ბერიზო, კასერესი, იაგო, ხუანფრანი, ვაგნერი, ჯოვანელა, მოსტოვოი, კარპინი, მაკკარტი, გუსტავო ლოპესი

**მსაჯი:** გრემ ბარბერი (ინგლისი)

### პორტუ — ლივერპული

ბრიტანელთა ფრანგ თავკაც ჟერარ ულიეს თავდამსხმელების ეიმედება და პორტუგალიაში ოთხი საუკეთესო შემტევი წაიყვანა: მაიკლ ოუენი, რობი ფაულერი, ემილ ჰესკი და ნიკ ბარმბი: „მჯერა, რომ ამ თამაშში ფორვარდები არ შემარცხვენენ. პორტუში შეტევისთვის მოვიმართებით და ვეცდებით, ერთი ან ორი გოლი გავიტანოთ“ — ამბობს ულიე, თუმცა თავისიანებს აფრთხილებს, რომ ერთობ რთული თამაში ელით — „პორტუ“ ძლიერი გუნდია, ტექნიკურებიც არიან და ბურთის დაჭერაც კარგად იციან. მათ უეფას თასის გათამაშებიდან საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერი „ნანტი“ გამოთიშეს. ეს კი ბევრზე მეტყველებს. მოკლედ, რთული ბრძოლა გველის“.

ულიეს მიაჩნია, რომ პირველი მატჩი გადამწყვეტი იქნება. ხუთშაბათის ჯახი ბევრ რამეს გაარკვევსო.

„პორტუ“, რომელიც საშუასეზონო კრიზისიდან ნელ-ნელა გამოდის, არაფრის დათმობას აპირებს. ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში, ბრაზილიელი ჟესუს პენას ორი გოლით „ფარენსე“ დაამარცხეს და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს. ახლა დაკარგული ქულებით ლიდერ „ბოავიშტას“ მხოლოდ ორი პუნქტით ჩამორჩებიან და შარშან დაკარგული ჩემპიონობის აღსადგენად სერიოზულად იბრძვიან.

„თუ სწრაფად გავიტანთ, მერე უნდა დავწყნარდეთ და დაცვას მივხედოთ. სხვაგვარად, ინგლისელები გვაჯობებენ. ვეცდებით, წლეულს ჩვენი საუკეთესო თამაში ვაჩვენოთ“ — ამბობს „პორტუს“ ლიდერი ნუნუ კაპუშუ.

პორტუგალიელებს ტრავმირებული კაპიტანი ჟორჟე კოშტა დაუბრუნდებათ, ხოლო „ლივერპულს“ ჩეხი ვლადიმირ შმიცერი. სამაგიეროდ, არ იქნებიან იარი ლიტმანენი და იგორ ბისკანი.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუ:** ოვჩინიკოვი, სეკრეტარიუ, ანდრადე, ჟორჟე კოშტა, ნელსონი, დეკო სოუზა, პაჩეკუსი, შაინიუ, ნუნუ კაპუშუ, პენა, დრულოვიჩი

**ლივერპული:** ვესტერველდი, ბაბელი, ჰიპია, ჰენჩოზი, კარაგერი, ციგე, ბარმბი, მაკალისტერი, ჯერარდი, ჰესკი, ფაულერი

**მსაჯი:** პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

### ალავესი — რაიო ვალეკანო

იშვიათი შემთხვევაა — მეტოქეები ერთმანეთს მიაწერენ ფავორიტობს.

„რაიო ვალეკანოს“ კაპიტანმა ანხელ ალკასარმა თქვა, „ალავესი“ ძალიან საშიში გუნდია და ჩვენზე ძლიერიც, მისი „ინტერთან“ თამაშები ვნახეთ და ნაკლი ვერ ვუპოვეთო. სამაგიეროდ, ვიტორიელი მცველი ოსკარ ტელესი მადრიდელებს აქებს. ესპანეთის ჩემპიონატში ჩვენი შეხვედრები ყოველთვის ძალიან დაძაბულია და ახლაც ურთულესი საქმე იქნება „რაიოს“ დამარცხებაო.

არანაკლებ საინტერესოა, რომ ეს გუნდები ევროტურნირზე პირველად თამაშობენ და აგერ, მეოთხედფინალამდეც მისულან. თან როგორი თამაშით: „ალავესმა“ „ინტერის“ ფანებს ლამის „სან სირო“ გადააწვევინა, ხოლო „რაიომ“ „ბორდოს“ ექვსი გოლი გაუტანა.

კიდევ ვთქვათ, რომ „ალავესი“ 1921 წელს დაარსდა და პრიმერა დივიზიონში ოდენ მერვე სეზონს ატარებს. „რაიოსთვის“, რომელიც მუდამ დიდი თანაქალაქელების — „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ ჩრდილში იყო მოქცეული, ახლანდელი პრიმერადივიზიონული სეზონი მეათეა, არადა, 77-წლიანი ისტორია აქვს. ამავე დროს მადრიდის ვალეკანოს უბნელები უეფას თასზე შემთხვევით, ფეირ პლეის წესით მოხვდნენ, სადაც ესპანეთს ერთი ადგილი ერგო.

დღეს ეჭვქვეშაა მადრიდელი მეკარის, იულენ ლოპეტეგის თამაში, რადგან მუცლის ტკივილის გამო ამ კვირაში არ უვარჯიშია. მას ამერიკელი კეისი კელერი შეცვლის. „ალავესი“ კი საამმატჩოდ რუმინელ მცველს კოსმინ კონტრას მოისაკლისებს, მას კუნთი უტკენია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ალავესი:** ერერა, კონტრა (ან კარმონა), ეგენი, ტელიესი, ჟელი, მაგნო, იბონ ბეგონია, პაბლო, ტომიჩი, კრუიფი, ხავი მორენო

**რაიო ვალეკანო:** ლოპეტეგი (ან კელერი), ალკასარი, დე კინტანა, ბალესტეროსი, მინგო, ჰელდერი, პოშნერი, კვედო, მიჩელი, სემბრანოსი, ბოლო

**მსაჯი:** იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

### კაიზერსლაუტერნი — პსვ

დღეს რუუდ ვან ნისტელროოი, შესაძლოა, კონტინენტურ ფეხბურთს დაუბრუნდეს. „ეინდჰოვენის“ ნიჭიერი თავდამსხმელი, თითქმის წელიწადია საქმეში ალარავის უნახავს. ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „როდასთან“ მატჩში, ის პირველი ტაიმის ბოლოს გამოჩნდა მინდორზე: „არა მგონია, „ლაუტერნთან“ სასტარტოში მათამაშონ. თუმცა, თავს ჩინებულად ვგრძნობ. ამ ხნის მანძილზე ბევრი ვიმუშავე და ახლა, მგონი უფრო სწრაფი ვარ ვიდრე შარშან ვიყავი“ — ამბობს ვან ნისტელროოი, რომელიც გასულ ზაფხულს ლამის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი გახდა, მაგრამ მუხლის ტრავმამ კინაღამ კარიერა საერთოდ დაამთავრებინა.

პსვ-ს მწვრთნელი, ერიკ გერეტსი გუნდის კაპიტნის დისკვალიფიკაციასაც შეუშფოთებია. მარკ ვან ბომელი „ლაუტერნს“ ზედმეტი ყვითლების გამო ვერ დაუპირისპირდება.

პრობლემები აქვს ანდრეას ბრემესაც, „კაიზერსლაუტერნის“ დამრიგებელს. ბრემე ჰოლანდიელების წინააღმდეგ ორ მთავარ კაცს, მარიო ბასლერსა და იური ჯორკაეფს ვერ გამოიყვანს. ბასლერს, ვინაც გასულ შაბათს „კოტბუსს“ პენალტი გაუტანა, მყესი დაჭიმვია, ხოლო ჯორკაეფს ფეხის თითი აქვს მოტეხილი.

„უბასლეროდ ძალიან გაგვიჭირდება. განსაკუთრებით დაცვაში. ამიტომ, იძულებულნი ვართ, ტვინი ვიჭყლიტოთ და რაღაც მოვიფიქროთ“ — ამბობს ბრემე.

გერმანელებს სხვა სატკივარიც აქვთ, დღეს ცენტრალური მცველი ტომაშ კლოსი და შვედი შემტევი იორგენ პეტერსონიც დააკლდებათ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**კაიზერსლაუტერნი:** გ. კოხი, რამზი, ჰ. კოხი, შტრასერი, ბუკი, რატინიო, ხრისტოვი, გრამოციისი, რაიხი, კლოსე, ლოკვენცი

**პსვ:** ვატერეუსი, ოოიერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ჰაინცე, ლუსიუსი, ფოგელი, რომედალი, ბუმა, კეჟმანი, ბრუგინკი

**მსაჯი:** გრემ პოლი (ინგლისი)

**სოლომონ გულისაშვილი**
**გიორგი დარჯანია**



პატრიკ კლუივერტი



„კაიზერსლაუტერნს“ მარიო ბასლერის საჯარიმოები დააკლდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს კლუბთა II ჩემპიონატი

ესპანეთი. 28 ივლისი — 12 აგვისტო

**ჯგუფური ეტაპი**

**A ჯგუფი** (ლა კორუნია, „ესტადიო რიასორი“)

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა), დეპორტივო (ესპანეთი), ვოლონგონგ ვულვზი (ავსტრალია), ზამალექი (ეგვიპტე)

| | |
|---|---|
| 28.07.2000 | ბოკა ხუნიორსი — დეპორტივო |
| 29.07.2000 | ვოლონგონგ ვულვზი — ზამალექი |
| 01.08.2000 | დეპორტივო — ვოლონგონგ ვულვზი |
| | ბოკა ხუნიორსი — ზამალექი |
| 04.08.2000 | ბოკა ხუნიორსი — ვოლონგონგ ვულვზი |
| | დეპორტივო — ზამალექი |

**B ჯგუფი** (მადრიდი, „ვისენტე კალდერონი“)

პალმეირასი (ბრაზილია), ოლიმპია (ჰონდურასი), გალათასარაი (თურქეთი), ალ ჰილალი (საუდეთი)

| | |
|---|---|
| 30.07.2000 | პალმეირასი — ოლიმპია |
| | გალათასარაი — ალ ჰილალი |
| 02.08.2000 | ოლიმპია — გალათასარაი |
| | პალმეირასი — ალ ჰილალი |
| 05.08.2000 | პალმეირასი — გალათასარაი |
| | ოლიმპია — ალ ჰილალი |

**C ჯგუფი** (მადრიდი, „სანტიაგო ბერნაბეუ“)

რეალი (ესპანეთი), ჯუბილო ივატა (იაპონია), ჰართს ოფ ოკი (განა), ლოს ანჯელეს გალაქსი (აშშ)

| | |
|---|---|
| 31.07.2000 | რეალი — ჯუბილო ივატა |
| | ჰართს ოფ ოკი — ლოს ანჯელეს გალაქსი |
| 03.08.2000 | ჯუბილო ივატა — ჰართს ოფ ოკი |
| | რეალი — ლოს ანჯელეს გალაქსი |
| 06.08.2000 | რეალი — ჰართს ოფ ოკი |
| | ჯუბილო ივატა — ლოს ანჯელეს გალაქსი |

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| 09.08.2000 | A1 — B1 (ლა კორუნია, „ესტადიო რიასორი“) |
| | C1 — AB2 (მადრიდი, „სანტიაგო ბერნაბეუ“) |

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| 11.08.2000 | მადრიდი, „ვისენტე კალდერონი“ |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| 12.08.2000 | მადრიდი, „სანტიაგო ბერნაბეუ“ |

## Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

**V ჯგუფი. III ტური**

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 4:0 გუარანი (პარაგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:2 | 6 |
| გუარანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| ელ ნასიონალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| სთრონგესტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |

**VI ჯგუფი. III ტური**

**ამერიკა დე კალი (კოლუმბია) 2:1 პენიაროლი (ურუგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა დე კალი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| პენიაროლი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| დეპორტივო ტაჩირა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| ვასკუ და გამა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

**VII ჯგუფი. III ტური**

**სან კაეტანო (ბრაზილია) 1:1 კრუს ასული (მექსიკა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუს ასული | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| დეფენსორ სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| სან კაეტანო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ოლმედო | 2 | 0 | 0 | 2 | 4:6 | 0 |

# გაყიდული საქონელი უკან მიიღება

**იტალიური** პრესა ამტკიცებს, რომ სერჟიუ კონსეისაო სეზონის ბოლოს „პარმადან“ წავა, ხოლო მისი შეძენის მსურველთა გრძელ რიგს რომის „ლაციო“ უდგას სათავეში.

მართლაც უცნაური ამბავია. ეს ის „ლაციო“ არაა, შარშან ერნან კრესპოს სანაცვლოდ პარმელებს კონსეისაო ხურდაში რომ გაატანა?

ამბობენ, რომ რომში დიდი ხანია, თავში ხელს იცემენ, როგორ შევცდით, კონსეისაო რომ დავთმეთო. თავად ფეხბურთელი, გეხსომებათ, „ლაციოზე“ დიდად განაწყენდა, ჩემთვის არც უკითხავთ, ისე მიკრეს თავი „პარმაშიო“ და ყოფილ გუნდზე, უფრო სწორად კი მის ხელმძღვანელობაზე დღემდე ნაწყენია, მაგრამ იმასაც ამბობენ, დაბრუნებაზე უარს არ იტყვისო.

კონსეისაო შერიგებაზე ყაბულსაა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან მის გადაბირებას „ინტერი“ და „იუვენტუსიც“ ცდილობენ, ესენი კი „ლაციოსთვის“ ხელწამოსაკრავი კონკურენტები სულაც არ არიან.

იტალიურ პრესაში სხვა ცნობაც გავრცელდა, მალე „ინტერი“ და კრისტიან ვიერი გაიყრებიანო. ფეხბურთელი და მისი გარემოცვა ამ ამბავს არ ადასტურებს, თუმცა ჟურნალისტები ირწმუნებიან, ისეთი სანდო წყაროდან მოვიპოვეთ ეს ცნობა, წყალი არ გაუვაო.

ამასობაში „ინტერი“ ახალ თავდამსხმელს ეძებს. მართალია, ამის მიზეზად ფეხბურთელთა გახშირებულ ტრავმებს ასახელებენ, მაგრამ ვინ იცის, ეგებ ვიერის წასვლის ამბავი სწორი იყოს.

„ინტერს“ კანდიდატთა სიაში პირველ ადგილზე რომაელი ვიჩენცო მონტელა ჰყავს. თამაშის სტილით მონტელა საკმაოდ განსხვავდება ვიერისგან, მაგრამ შესაშური სტაბილურობით გამოირჩევა, რაც მილანურ კლუბს ესოდენ აკლია.

მონტელას გარდა „ვალენსიას“ ნორვეგიელ იონ კარეუსა და „გალათასარაის“ ბრაზილიელ მარიო ჟარდელს ახსენებენ.

# გეყოთ საცივის ჭამა!
## ჩვენ ინდაურები არა ვართ

**ევროკავშირმა,** ფიფამ და უეფამ პირობის დამრღვევთათვის მკაცრი სასჯელი დააწესა

საფეხბურთო სამყაროში მნიშვნელოვანი ცვლილებებია. როგორც იქნა, ევროკავშირმა, უეფამ და ფიფამ მოილაპარაკეს და ახალი სატრანსფერო სისტემა შეიმუშავეს. გუშინდელ „სარბიელში“ ამ სიახლის არსი უკვე გაგაცანით. დამთავრდა ხანგრძლივი პროცესი, მაგრამ ევროპაში ახალი ტალღა აგორდა.

კანონმდებლების ბრძნული მოლაპარაკების შედეგებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ფეხბურთელთა პროფესიული კავშირის ხელმძღვანელები. აღშფოთებას ვერ მალავს ამ უწყების ვიცე-პრეზიდენტი ჟან-ჟაკ ამორფინი: „ორი წლის წინ დაწყებული კამათი გასაოცარი შედეგით დამთავრდა, ჩვენი მთელი ძალისხმევა წყალში ჩაიყარა, შეთანხმება კარგს არაფერს გვიქადის. ისინი (ევრო კავშირი, ფიფა, უეფა) ფეხბურთელებს იმბეცილებად, ჩვენ კი ინდაურებად გვთვლიან“.

მოულოდნელი იყო ბრიუსელში გამართული შეხვედრის შედეგის მოსმენა ამორფინის შეფის, ფეხბურთელთა პროფესიული კავშირების პრეზიდენტის, გორდონ ტეილორისთვისაც. მისი აზრით ევროკავშირის და ფეხბურთის მამების განაჩენი ფეხბურთელებს შორეულ წარსულში, „უკან, შავი დღეებისკენ“ აბრუნებს.

ფეხბურთელთა ბედის მესვეურნი ფრიად გაწბილებულნი ჩანან. პროფკავშირების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბრენდან ბოსტონი იმასაც კი ამბობს, რომ არავითარი აზრი არ აქვს საუბრის გაგრძელებას ფიფასა და უეფასთან. ჟან-ჟაკ ამორფინი ადამიანთა უფლებების დარღვევაზე ამახვილებს ყურადღებას.

უთანხმოების თავიდათავი ფეხბურთელთა და კლუბებს შორის კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში მიღებული სანქციებია. ფეხბურთელი, რომელიც შეთანხმება, დაარღვევს, გვარიან ფულად ჯარიმას იხდის. ეს ძველია, მაგრამ აი, სიახლე რომელსაც ფეხბურთელთა პროფესიული ინტერესების დამცველნი განურისხებია: პირობის გამტეხი მობურთალი „უკანონო“ ქმედების საფასურად, შესაძლოა, ოთხი თვე გამოეშმვიდობოს საყვარელ საქმეს. მას მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ შეეძლება, ითამაშოს თავის ახალ გუნდში.

ცხადია, უეფა და ფიფა ამგვარ სანქციებს კლუბების ინტერესების დაცვის გამო აწესებს. მართლაც, ასეთი დრაკონული კანონის შემდეგ ფრიად შემცირდება გუნდიდან გუნდში დროის უმოკლეს მონაკვეთში გადარბენ-გადმორბენა, რაც ევროპულ ფეხბურთში არცთუ იშვიათი მოვლენაა. კანონი მოთამაშეს ერთ ადგილზე დააკავებს და მწვრთნელებსაც გუნდის სტაბილური შემადგენლობით მომზადებას გაუადვილებს.

ბრიუსელის შეთანხმების საკამათო პუნქტის საკითხს სხვაგვარად განიხილავენ გერმანელები. არანაირი პროტესტი გერმანელ პროფკავშირელთა მხრიდან ახალ გადაწყვეტილებას არ მოჰყოლია. მათ მხარს კლუბების ხელმძღვანელობაც უჭერს. კმაყოფილია მიუნხენის „ბაიერნის“ ერთ-ერთი თავკაცი კარლ-ჰაინც რუმენიგე. ხოლო „შალკე 04“-ის მენეჯერი რუდი ასაუერს ერთობ მოსწონს კონტრაქტის დამრღვევთათვის გათვალისწინებული სასჯელი: „კლუბებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საჯარიმო სანქციების შემოღება, არა გვგონია, ასეთი სიმკაცრის შემდეგ, მოთამაშეს კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტა მოუვიდეს აზრად“.

სიახლისადმი გერმანელთა დამოკიდებულებას სრულყოფილად გამოხატავს რუმინეგეს კოლეგა ფრიც შერერის მოსაზრებაც: „ეს საფეხბურთო სტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გადადგმული ნაბიჯია. ახლა სატრანსფერო კანონი არა მარტო ბობოლათა ინტერესს დაიცავს, არამედ შედარებით მწირი სახსრების მქონე გუნდებსაც. იგი საერთოდ ფეხბურთის განვითარებას დიდად წაადგება“.

გერმანელების დარად, სიახლე დიდად მოიწონა ლონდონის „არსენალისა“ და საფეხბურთო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, დევიდ დეინმა: „ვწუხდი, როცა ვხედავდი, რომ ფეხბურთელს გუნდიდან გუნდში გადასვლა ძალიან უადვილდებოდა. როდესაც გუნდში სტაბილური სიტუაციაა, გუნდის ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს უიოლდებათ თავიანთი საქმე“.

დევიდ დეინის მოსაზრებას არ ეთანხმება მისივე გუნდის მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი: „ბრიუსელში მიღწეული შეთანხმებით მხოლოდ და მხოლოდ თვით მოლაპარაკების ინიციატორები დარჩნენ კმაყოფილნი. მათ ფეხბურთელთა აზრი სავსებით არ გაუთვალისწინებიათ“.

ასეა თუ ისე, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ევროკავშირმა, ფიფამ და უეფამ თავისი გაიტანეს. საფეხბურთო სამყარო მომავალ წელს უკვე ახალი სატრანსფერო კანონებით იხელმძღვანელებს.

**გიორგი გამარდაშვილი**



ზეპ ბლატერს და ლენარტ იუჰანსონს პროფკავშირებიც მიადგნენ

## აბა, პასპორტი მაჩვენე!..



ალვარო რეკობა

# რეკობას რეურუგვაიზაცია

**შეგახსენებთ:** ფეხბურთი დიდი კომერცია გახდა, ბევრი ფეხბურთი, ძალიან დიდი კომერცია. ბევრ ფეხბურთს ძალიან ბევრი ფეხბურთელი დასჭირდა, თან ძლიერი. ამდენი ძლიერი ფეხბურთელი არც ერთ ქვეყანაში არ იზრდება, ამიტომაც მდიდარმა კლუბებმა მთელი მსოფლიოდან იყიდეს ნიჭიერი მოთამაშეები. ამასობაში კი კანონი კანონობს, რომლის თანახმადაც მოედანზე ერთდროულად ამდენ და ამდენ უცხოელზე მეტი არ უნდა იყოს, თორემ სისულელე გამოვა. ეს მდიდარ კლუბებს, ცხადია, არ მოეწონათ და ასეთი გამოსავალი მოიფიქრეს — უცხოელებს თავიანთი ქვეყნების პასპორტები მისცეს, აქაოდა ესენი ჩვენი არიან, ხოლო ნამდვილ უცხოელებად კიდევ ახალ ხალხს ჩამოვიყვანთო...

ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ, როგორც იცით, ამას წინათ იტალიაში საპასპორტო სკანდალი ატყდა — ბევრ შემთხვევაში მოქალაქეობა ყალბად გაუციათ. და, აი, დამატებითი ცნობები: ამ საქმეში მილანის „ინტერის“ ორი და „რომას“ ერთი დიდმოხელე ყოფილა ჩარეული. კერძოდ, „რომას“ ყალბ საქმეთა მქნელს თურმე ფრანჩესკო ბალდინი ჰქვია, ხოლო ინტერელებს, რინალდო გელფი და... გაბრიელე ორეალი.

გაბრიელე ორეალი სწორედ ის კაცია, 1982 წელს „სკუადრა ატურას“ ლურჯი მაისურით მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა.

ეს სამი ადამიანი იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ამხილა. მათ ურუგვაელი ალვარო რეკობასთვის გაუკვაჭავთ იტალიის მოქალაქეობა. ფედერაციის რომაული ოფისიდან გავრცელდა ცნობა, რომ ყალბისმქნელთა ტრიო თავის რეკობიანად სადისციპლინო კომიტეტშია დაბარებული.

ცნობისთვის: პასპორტი რომის პოლიციაშია გაცემული, ხოლო რეკობა „ინტერში“ თამაშობს და ამიტომ გამოძიება მთელ „ინტერსაც“ შეეხება.

„ინტერი“, ცხადია, განტევების ვაცი არ არის. მისი თანაქალაქელი „მილანიც“ ასეთსავე დღეშია — ბრაზილიელი მეკარე დიდა ჰყოლია ცრუსაბუთიანი, ოღონდ დიდას პორტუგალიაში გაცემული პასპორტი უმძიმებს ჯიბეს. მაგრამ დავუბრუნდეთ რეკობას, რომელიც „ინტერში“ 1997 წელს მონტევიდეოს „ნასიონალიდან“ გადავიდა. კაცმა რომ თქვას, ცოტა გაუგებარია, რა შუაშია აქ „რომას“ ჩინოსანი ბალდინი, თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ ამ საიდუმლოს ჩვენთვისაც აეხდება ფარდა.

ალვარო რეკობამ იტალიის პასპორტი 1999 წლის სექტემბერში მიიღო, ხოლო მაგისტრატურამ იგი წლეულს, 30 იანვარს ჩამოართვა და ფეხბურთელს საბუთების წესრიგში მოსაყვანად მონტევიდეოში გამგზავრება მოსთხოვა. რეკობა იძულებული შეიქნა დაყოლოდა და ძველ არაევროკავშირელის სტატუსს დაბრუნებოდა.

# MONEY, MONEY, MONEY...
## ჯიბე იდეების სამშობიაროა. ატლანტიკურ ლიგას უეფა აბორტით ემუქრება

**არავისთვის** საიდუმლო არაა, რომ მსოფლიო ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს. ჰოდა, სადაც ფულია, იქ ინტრიგა და შეთქმულების ქსელიც იჩენს თავს. გეხსომებათ, რა მოვლენა იყო ჩვენთვის ფეხბურთის მატჩი. ტურიდან ტურამდე ხალხი ფეხბურთზე, ფეხბურთელებზე, მსაჯებსა თუ ათას საფეხბურთო წვრილმანზე საუბრობდა, კამათობდა და ამით ცხოვრობდა. ევროთასები კი გამორჩეული ამბავი გახლდათ. ყოფილ სსრკ-ში ძალიან ჭირდა ევროპული სარბიელისთვის თვალის დევნება. გულშემატკივარი არც ამ შემთხვევაში იბნეოდა, თბილისიდან ხან ლენინაკანში, ხან თეთრიწყაროში, პანტიანსა და ვინ მოთვლის, სად ჩადიოდა, ოღონდ კი უდიდესი სანახაობა, ევროპის ბობოლა გუნდთა ჭიდილი პირდაპირ ეთერში ეხილა. წავიდა ის დრო.

ახლა საკმაოზე მეტად განებივრებულნი ვართ. ის კი არა, ასარჩევადაც გვაქვს საქმე, რას ვუყუროთ: „მილანი“ — პსჟ-ს თუ „რეალი“ — „ლაციოს“, „არსენალი“ — ლიონს“ თუ... ხანდახან ყველაფერი ერთად გვინდა და რამდენიმე სიამოვნების ერთად მაძიებელთ სხვადასხვა მატჩების დაჩეხილი ფრაგმენტების უკავშირო სურათილა გვრჩება. არა, რა თქმა უნდა, ძველ დროებას ახალი სჯობს, მაგრამ თითქოს პეწი, თავისი განუმეორებლობა დაკარგა კვირის იმ დღეებმა, როდესაც საფეხუბრთო მატჩის მოლოდინში კაცი ტელევიზორს მიუჯდებოდა და ოთხმოცდაათი წუთით ბურთის სამყაროში გადაინაცვლებდა.

მორჩა, ფეხბურთსაც დიდი ფული მართავს. ფეხბურთიც უფრო პროფესიული, მკაცრი გახდა. როგორც ყველგან, აქაც დიდი რჩება, პატარა იძირება. ევროპული ფეხბურთი შემოსავლიანი ბიზნესია და ყველა, ვინც კი მისი განვითარებითაა დაინტერესებული, ვისაც ბურთის ოსტატურად გორების პრეტენზია აქვს, საკმაოდ სქელი ჯიბის პატრონიც უნდა იყოს.

უმდიდრესი გუნდები არიან „მანჩესტერ იუნაიტედი“, „რეალი“, „ბარსელონა“, „იუვენტუსი“, „ლაციო“... უეფამ მათთვის მოიგონა კიდეც მშვენიერი გასართობი — ჩემპიონთა ლიგა. ლიგის თამაშები უდიდესი შემოსავლით გვარიანად ავსებს ბობოლათა სალაროებს. მაგრამ რა ქნან მათზე პატარებმა? მათ უეფას მიერ შექმნილი სტრუქტურა უკარგავს ზემოთ ჩამოთვლილ გიგანტთა მაგვარ გუნდებთან გატოლების შანსსა და სურვილს, თავგასულ გრანდებს კი თურმე თავიანთი ღლევანდელობა არ აკმაყოფილებთ და ახალი ქერის ორმო, სათავისო ლიგა G-14 მოუგონიათ. უეფა G-14-ს ჯერჯერობით ეწინააღმდეგება. გასაგებიცაა, ეროვნული თუ ევროგათამაშებები გვარიან თანხებს დაკარგავენ, თუ ბობოლებმა ერთურთში იბურთავეს და დანარჩენები ახლოს არ გაიკარეს.

ცხადია, დამწუხრებულნი არიან მოკრძალებული სახსრების მქონე საფეხბურთო გუნდები. იკითხავთ და პასუხით გაკვირვებულნი დარჩებით: ვინ არიან ასეთი გაჭირვებულები? — „აიაქსი“, „ბენფიკა“, „სპორტინგი“, „ფეიენოორდი“ და მისთანანი. გასაკვირია, რამ დააკნინა მუდამ მებრძოლი, გრანდთათვისაც კი უხერხული, ხანდახან მათი მძლეველი გუნდები? პასუხი ერთია: ისინი დიდ ფულთან და დიდ გუნდებთან უკვე ვერაფერს გააწყობენ. რა უჭირს „მანჩესტერ იუნაიტედს“, თუნდაც „მილანს“, „იუვენტუსს“, მათ ქვეყანაში, ეროვნულ ჩემპიონატებში ზღაპრული ფული ტრიალებს, ხოლო ჰოლანდიაში, დანიაში, შოტლანდიაში სხვაგვარადაა საქმე. ჰოდა, მოიგონეს კიდეც გამოსავალი, ისევ და ისევ დამოუკიდებელი, არაეროვნული ჩემპიონატი — ჰოლანდიის, დანიის, ბელგიის, პორტუგალიის, შოტლანდიის, შვედეთის რამდენიმე გუნდმა ატლანტიკური ლიგის ჩამოყალიბება განიზრახა. მიზეზი ისა, რომ ამ ქვეყნებში საშინაო სარბიელზე გუნდები დიდად ვერ ხეირობენ, ჩემპიონატებს წლების მანძილზე ერთი ან ორი ლიდერი ჰყავს და ყველაფერი უინტერესოდ მიმდინარეობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპაში დღესდღეობით მეორეხარისხოვნები კარგა ხანია, დიდებთან ჭიდაობის უშედეგობასაც მიხვდნენ და ამიტომაც რაღაც ძლიერთა და ზეძლიერთა შორის მდგომი ლიგის ჩამოყალიბებას აპირებენ. „იმ ბაზარს (იგულისხმება საფეხბურთო), რაც ჩვენს ქვეყნებშია, ვერაფერს გამოვრჩებით, გვაფიქრებს ჩვენი რანგის გუნდების არსებობა ევროპულ ფეხბურთში. რასაც ვაპირებთ, ლოგიკური ნაბიჯია, მაგრამ ამის უეფას არ სჯერა“ — ამბობს ატლანტიკური ლიგის მხურვალე მხარდამჭერი, „პსვ ეინდჰოვენის“ გენერალური მენეჯერი პეტერ ფოსენი. ახალი საქმის მოთავენი ყოველმხრივ ცდილობენ, თავისი გაიტანონ, მაგრამ უეფა ჯერჯერობით შეუვალია. „ატლანტისტები“ ყველაფრისთვის მზად არიან. ისინი საკუთარი ჩემპიონატის ფორმატის და სხვა ამგვარ საკითხებში უეფას მორჩილებას ჰპირდებიან. ჩვეულებრივ, ახალ ლიგაში თამაშები უქმეებზე გაიმართება, სეზონის ბოლოს რამდენიმე წარუმატებელი ეროვნულ ჩემპიონატში დაქვეითდება, ხოლო სატურნირო ცხრილის მოთავენი კი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას დაამშვენებენ. არის ამაში რაღაც ლოგიკა.

ფოსენი ამტკიცებს, რომ მათი იდეის განხორციელებით ფეხბურთი მხოლოდ მოიგებს. „ჩვენი გუნდები ტრადიციულად ევროპული ელიტაში შედიოდნენ. ამის შესაძლებლობა ახლაც არ დაკარგულა, მაგრამ კომერციული ინტერესი ეროვნული ჩემპიონატებისადმი, რომლებშიც ისინი თამაშობენ, დღითი დღე ეცემა. ასეთ ფონზე კონკურენცია „მანჩესტერთან“ ან „იუვენტუსთან“ უკვე წარმოუდგენელია. ჰოლანდიის ჩემპიონატი არ დაიქცევა, თუ „აიაქსი,“ „ფეიენოორდი“ და პსვ ატლანტურ ლიგაში ითამაშებენ. პირიქით, პირველი ადგილისთვის ბრძოლა საინტერესო და მძაფრი გახდება. ჩვენი კლუბები, დიდძალი ანაზღაურებით დაინტერესების გამო, ყოველწლიურად კარგავენ არა მარტო ვარსკვლავებს, რომლებიც ევროპის დიდი ხუთეულისკენ მიისწრაფვიან (იტალია, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი, საფრანგეთი), არამედ საშუალო კლასის ოსტატებსაც — ამბობს ატლანტიკური ლიგიდან გვარიანი შემოსავლის მოიმედე ფოსენი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ, მავანს იქნებ ჭკუაში დაუჯდეს ატლანტიკური ლიგის მიზანშეწონილობა. თვით მოთავენი უეფას ემუქრებიან, რომ მათი ნებართვის გარეშეც შეძლებენ წადილის ასრულებას. უეფას თავკაცები კი თავის მხრივ ატლანტისტებს ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთას ჰპირდებიან. ალბათ, ორივე მხარეს მართებს დათმობაზე წასვლა. ეს ფეხბურთის განვითარებას თუ წაადგება.

**გიორგი გამარდაშვილი**

# მოსაწევი მოიწიოს, ბეშიქთაში ბედს ეწიოს

**ლევერკუზენის** „ბაიერის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელის კრისტოფ დაუმის ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება მთელმა დუნიამ შესანიშნავად იცის. მისი კოკაინისადმი სიყვარული სწორედ მაშინ შენიშნეს, როდესაც გერმანული ფეხბურთის მამებს კრისტოფი ეროვნული ნაკრების მწვრთნელად ჰყავდათ შეგულებული. კარგად მოგეხსენებათ, სპორტისა და კოკაინის შეუთავსებლობა, ჰოდა მწვრთნელით იმედგაცრუებულებს დიდხანს აღარ უფიქრიათ, დაუმი სამარცხვინოდ გამოაჭენეს, შეარცხვინეს, ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოსდეს და სათვისტომოდანაც მოკვეთეს.




კრისტოფ დაუმმა სტამბოლში ჯერ ავტოგრაფები ჩამოარიგა, მერე კი კონტრაქტს მოაწერა ხელი

გული დაწყდა დაუმს. მას ისიც განუცხადებია, მწვრთნელის სკამისკენ აღარ გავიხედავო, მაგრამ დრო მკურნალია. ახლახან მისმა, როგორც „ბეშიქთაშის“ შესაძლო მწვრთნელის სახელმა სტამბოლური პრესის ფურცლები აავსო. ხოლო გუშინ დაუმმა თურქებთან 18-თვიანი კონტრაქტი გააფორმა. დაუმი „ბეშიქთაშის“ თავკაც სერდარ ბილგილის მეგობარია და ამიტომაც სიამოვნებით ბრუნდება გუნდში, რომელსაც 1994 და 1995 წლებში თურქეთის ჩემპიონობა და ქვეყნის თასი მოაგებინა.

კი მაგრამ, რა ვუყოთ კოკაინს? — აი, გაზეთ „საბაჰის“ პასუხი: ეს უკვე წარსულია, დაუმს ნარკოტიკებთან აღარაფერი ესაქმება.

და საერთოდ, ფეხბურთი დღეს ბიზნესია და მთავარი შედეგია. თანაც კრისტოფსა და სერდარსაც ძალიან ჰყავრებიათ ერთმანეთი. შესაძლოა, ძველი მეგობრობის ხათრით ბილგილი ძმობილს ასეც გაურიგდა: შენსას თუ არ იშლი, კისერიც გიტეხია, კოკაინი თურქეთშიც ბლომადაა, ოღონდ თუ კაცი ხარ, „გალათასარაის“ ჯავრს ნუ მაჭმევ, როგორმე თურქეთის ჩემპიონობა და ერთი ევროთასი მაინც მოგვაგებინეო.

**გიორგი გამარჯაშვილი**

# კოლო-კოლო, კოლო კოლო



პედრო გარსიას (მარჯვნივ) ჩილეს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნას ულოცავენ

**მას** შემდეგ, რაც ჩილეს ნაკრების მწვრთნელობიდან ნელსონ აკოსტა გადადგა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მოხელე ტელევიზიით გამოვიდა და ხალხს აუწყა, უახლოეს დღეებში ბლომად სამუშაო გველის, არაერთ კანდიდატს განვიხილავთ და თავკაცად ყველაზე შესაფერს დავნიშნავთო. სამშაბათს ყველაფერი გაირკვა — ფედერაციამ ეროვნული გუნდი „კოლო კოლოს“ ყოფილ მწვრთნელ პედრო გარსიას ჩააბარა, რომელთანაც მალევე გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი. მხარეების სურვილის შემთხვევაში კი შეთანხმება, შესაძლოა, კიდევ გაახანგრძლივონ.

ისიც ცნობილი გახდა, რომ ჩილელი ფეხბურთის მოხელენი „რივერ პლეიტის“ თავკაც რუბენ დიასთანაც აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. ამ სპეციალისტს ბუენოსაირესულ კლუბში ბევრი არაკეთილმოსურნე გამოუჩნდა და არ გამორიცხავენ, რომ გუნდი დატოვოს. ჩილელები შეხმიანებიან დიასის აგენტს და ოთხწლიანი კონტრაქტი შეუთავაზებიათ, თუმცა რატომღაც ვერ შეთანხმდნენ.

შესაძლო კანდიდატად ასახელებდნენ ურუგვაელ გუსტავო ბენიტესსაც, რომელმაც თავად იუარა ჩილეში მუშაობა.

პედრო გარსიას სანაკრებო ნათლობა 27 მარტს შედგება, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სათამაშოდ იგი გუნდს პერუში ჩაიყვანს. აქვე შეგახსენებთ, რომ 10-გუნდიან ჯგუფში ჩილეს ნაკრები მერვე ადგილზეა. აქამდე ჩატარებული 10 შეხვედრიდან მათ სამი მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და ექვსჯერ დამარცხდნენ.

# ჯერ მამებს დაგვარტყით და მერე...

**„რეალი“** — „ბარსელონას“ შეხვედრაში ერთი ასეთი ეპიზოდი იყო: რაული სწრაფად აპირებდა კუთხურის ჩაწოდებას. ამისთვის ხელი რომ შეეშალა და „ბარსა“ კუთხურის მოსაგერიებლად უკეთ მომზადებულიყო, კატალონიელთა მეკარე ხოსე მანუელ რეინამ კუთხურის ალამთან რაულს ჭიდაობა დაუწყო და ბურთის წართმევა დაუპირა. „სანტიაგო ბერნაბეუზე“, მოგეხსენებათ, ტრიბუნები მჭიდროდ ეკვრის მინდორს და პირველ რიგში მჯდომმა მავანმა მადრიდელმა ქომაგმა სტუმართა ჭაბუკ მეკარეს თავში ჩასცხო. ეს ეპიზოდი ტელეკამერამ „დაიჭირა“.

გუშინწინ რადიო „მარკამ“ მეტად უცნაური შეხვედრა მოაწყო. სტუდიაში მეკარის მამა, წარსულში თავადაც „ბარსელონას“ კარის დარაჯი მიგელ რეინა და ის ხულიგანი გულშემატკივარი მიიწვია. როგორ მოძებნეს? ის ადგილის ნომერი უცებ გაარკვიეს, რომელზეც სეზონური აბონენტი იყო გაყიდული. აბონენტთა მფლობელის ვინაობა კი კლუბის დავთრებში წერია.



ხოსე მანუელ რეინა

მოკლედ, შეხვედრა შედგა და დამნაშავემ რადიომსმენელებს გული აუჩუყა, პატიოსანი კაცი ვარ და თავადაც ვერ გამიგია, ასეთი საძაგლობა როგორ ჩავიდინე, ყველაფერი დაძაბულობის და უზომო ნერვიულობის ბრალიაო.

მიგელ რეინამ შვილის დამჩაგვრელს დანაშაული დიდსულოვნად მიუტევა და უთხრა, თუ კაცი ხარ, მეორედ აღარ მიქაროო.

ახლა გადაწყვეტილება „რეალზეა“. კლუბში იმაზე ფიქრობენ, ერთგულ ქომაგს ისეთი სასჯელი მოუძებნონ, რომ არც მწვადი დაწვან, არც შამფური.




**იტალიური** სააგენტოს ცნობით, „ინტერის“ ურუგვაელმა თავდამსხმელმა ალვარო რეკობამ წინა კვირას „რომას“ წინააღმდეგ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და გუნდს, ალბათ, სამი კვირით დააკლდება. 24 წლის ფეხბურთელმა მუხლი დაიზიანა. იგი მინდორზე სავარაუდოდ 1 აპრილს დაბრუნდება, როცა მილანური კლუბი სტუმრად „პერუჯას“ შეხვდება. რომაელებთან მატჩში თურქი ფორვარდი ჰაქან შუქურიც დაშავდა, თუმცა ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. ამიტომ თურქი ამ უქმეებზე „ვერონას“ წინააღმდეგ თამაშს, ალბათ, შეძლებს.

**ინგლისურმა „სანდერლენდმა“ „სენტ ეტიენის“ მცველი პატრის კარტერონი სეზონის ბოლომდე იჯარით აიყვანა, თუმცა შეთანხმებაში გათვალისწინებულია, რომ ფეხბურთელი შესაძლოა ამ ვადის გასვლის შემდეგაც დარჩეს ბრიტანეთში. 30 წლის კარტერონი ფრანგულ კლუბში შარშან ზაფხულში 1,6 მილიონ გირვანქად ჩაირიცხა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. „სანდერლენდის“ მწვრთნელმა პიტერ რიდმა მიაგნო კრის მაკინის შემცვლელს, რომელიც კარიერას „იფსვიჩში“ გააგრძელებს, „სანდერლენდი“ კი მის სანაცვლოდ 1,4 მილიონ გირვანქას მიიღებს.**

**ესპანურმა** სამმა სუპერკლუბმა — „რეალმა“, „ბარსელონამ“ და „დეპორტივომ“ ერთდროულად გამოთქვა სურვილი, ლისაბონის „ბენფიკაში“ მოთამაშე ესპანელი ცენტრალური მცველი კარლოს მარჩენა გადაიბირონ. ყველაზე მეტად მოსალოდნელია, რომ 21 წლის ფეხბურთელმა კარიერა მადრიდულ კლუბში გააგრძელოს. „რეალმა“ უკვე გააგზავნა წარმომადგენელი ლისაბონელებთან და თავად მარჩენასთან მოსალაპარაკებლად. ახალგაზრდა მცველი „ბენფიკაში“ ჩარიცხვამდე „სევილიაში“ თამაშობდა, ესპანური გრანდების ყურადღება კი ზაფხულში სიდნეიში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე მიიპყრო.

**რუმინულმა „რაპიდმა“ ქვეყნის ჩემპიონატში პირველი ინგლისელი ფეხბურთელი გადაიბირა — 31 წლის მარკ ბურკემ ბუქარესტულ კლუბთან ჯერჯერობით ოთხთვიანი კონტრაქტი გააფორმა. ბურკემ მანამდე ოთხი წელი ჰოლანდიურ „ფორტუნაში“ დაჰყო, ბოლოს კი იაპონიის J-ლიგაში გამოდიოდა. კონტრაქტის პირობით, ინგლისელი 20 ათას დოლარს მიიღებს, შემდეგ კი — შეთანხმება შესაძლოა გაახანგრძლივონ. „რუმინეთში თამაშით დიდ გამოცდილებას შევიძენ“ — განაცხადა ინგლისელმა.**

**გერმანული** „ვოლფსბურგის“ მცველი კლაუს ტომსენი ზურგის ტრავმის გამო დაახლოებით ოთხ თვეს ვერ ითამაშებს. ინგლისური „ევერტონისა“ და „იფსვიჩის“ ყოფილმა ფეხბურთელმა რთული ტრავმა დეკემბერში მიიღო და მინდორზე მას შემდეგ აღარ გამოჩენილა. „ჰანოვერში ვმკურნალობ. ვიმედოვნებ, რომ ახალი სეზონიდან ჩვეულ ფორმაში ჩავდგები. ექიმები მარწმუნებენ, რომ ზაფხულში უკვე სრულიად გამოვჯანმრთელდები“ — განაცხადა ტომსენმა.

**იუგოსლავიის ნაკრების მცველი ნიშა საველიჩი კარიერას ბელგრადის „პარტიზანში“ გააგრძელებს. მან „ბორდოს“ შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და სამშობლოში დაბრუნება არჩია — ფრანგულმა კლუბმა 31 წლის ფეხბურთელი იჯარით გაუშვა. თუმცა საველიჩი „ბორდოში“, ალბათ, აღარც დაბრუნდება, რადგან ივნისის ბოლოს უკვე კონტრაქტიც დაუსრულდება. იუგოსლაველის გადაბირება შოტლანდიურ „მოზერუელსაც“ სურდა, მაგრამ ფეხბურთელს ბრიტანეთის სამუშაო ვიზის მიღება გაუჭირდა და იმ კლუბს შეაფარა თავი, სადაც 1994-დან 97 წლამდე თამაშობდა.**

**ინგლისურმა** „ლივერპულმა“ ბრემენის „ვერდერის“ მეკარე ფრანკ როსტს დაადგა თვალი. პრემიერლიგელებს ბუნდესლიგაში გოლკიპერის თამაშების სანახავად გერმანიაში წარმომადგენლებიც გაუგზავნიათ. როსტმა ბუნდესლიგაში 103 შეხვედრა ჩაატარა, ბოლო ხანს იგი ერთობ ძლიერად თამაშობს და გერმანიის ნაკრებში მოხვედრის კანდიდატია. „ვერდერთან“ კონტრაქტი მას 2003 წელს უსრულდება. სააგენტოების ცნობით, თუ ბრემენული კლუბი როსტის გაშვებას დათანხმდა, მის სანაცვლოდ 10 მილიონ დოლარს მოითხოვს.

**ჰოლანდიელი მეკარე რაიმონდ ვან დერ გოუ დაზიანებულ მუხლს მკურნალობს და ჯერჯერობით ვერ თამაშობს. მას ოპერაციაც გაუკეთეს და როგორც ვარაუდობენ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაახლოებით ერთ თვეში დაუბრუნდება. ამასთან, 37 წლის გოლკიპერს პრემიერლიგურ კლუბთან ხელშეკრულება სეზონის ბოლოს უსრულდება, „მანიუ“ კი ჯერჯერობით არც ფიქრობს, მასთან შეთანხმება გააახანგრძლივოს. თავად ვან დერ გოუს იმედი აქვს, რომ როცა გამოჯანმრთელდება, „იუნაიტედთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს.**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
♦ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
♦ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
♦ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ძირს ოცგუნდიანობა

## ფრანგული პერსპექტივა: სამი წინ, ერთი უკან



მიშელ პლატინი საფრანგეთის ჩემპიონატში გუნდების 20-მდე გაზრდის წინააღმდეგია

**ფრანგული** ფეხბურთის მმართველებმა ერთი იდეა წამოაყენეს — ქვეყნის უმაღლეს დივიზიონში კლუბების რაოდენობა ოცამდე გავზარდოთო. ამ პროექტის ძირითადი არსი წმინდა კომერციულია, რადგან მეტი გუნდი სეზონში მეტ თამაშს და, შესაბამისად, გაზრდილ შემოსავალს ნიშნავს.

ქვეყნის საფეხბურთო ლიგის დირექტორმა ფილიპ დიალომ გადაწყვიტა, ჯერ პირველი და მეორე დივიზიონების კლუბთა ხელმძღვანელებს დაეკითხოს და მხოლოდ ამის შემდეგ, 6 აპრილს მოიწვიოს საგანგებო შეხვედრა, რათა იდეის ავ-კარგი განიხილონ. მაგრამ ვიდრე ზოგიერთი გუნდის თავკაცთა აზრს გამცნობდეთ, სამი წლის წინანდელ ამბავს გიამბობთ.

1997-98 წლების სეზონის დაწყებამდე საფრანგეთის უმაღლესი ლიგა ოცგუნდიანი იყო, მაგრამ მაშინ ზოგიერთმა გავლენიანმა პირმა მოიფიქრა, რომ კლუბების რაოდენობა შეემცირებინათ. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ კალენდარი ძალიან გადატვირთული იყო, ფეხბურთელები მარტო ჩემპიონატის მატჩების თამაშით ილლებოდნენ, თანაც ამას ემატებოდა ქვეყნის თასისა და ევროტურნირების გათამაშებები. მოკლედ, მაშინ ისე მოხდა, რომ გუნდების რიცხვი თვრამეტამდე შეამცირეს.

ახლა, ისევ დღევანდელ ვითარებას დავუბრუნდეთ. ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ხსენებული პროექტის წინაალმდეგ სასტიკად გაილაშქრა, მიშელ პლატინი გახლავთ. ბევრი ახსნა არ სჭირდება იმას, თუ რა ავტორიტეტია პლატინი ფრანგულ ფეხბურთში, თანაც ახლა მას ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი უკავია. პლატინი ამბობს: „1992 წელს საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა იმიტომ დავტოვე, რომ მაშინ გუნდების რაოდენობა ოციდან თვრამეტამდე არ შეამცირეს. სასტიკი წინაალმდეგი ვარ იმისა, რომ ახლა კვლავ ოცგუნდიანი ლიგა აღვადგინოთ".

წინაალმდეგია „მონაკოს" მწვრთნელი კლოდ პუელიც, რომელმაც გამოცემა „ეკიპს" გაუმხილა, ეს ჩანაფიქრი უაზროაო. „ფული, რა თქმა უნდა, „მონაკოსაც" სჭირდება, მაგრამ გუნდების მატება ფინანსების გაზრდას არ ნიშნავს. სპორტული ინტერესი კი, პირიქით, იკლებს" — განაცხადა მონაკოელმა, რომლის გუნდიც ახლა ცხრილის ქვედა ნაწილშია.

ისევ პლატინის დავუბრუნდეთ: „თუ ახლა გუნდებს ოცამდე გავზრდით, მაშინ გაისად ვინმე 22 კლუბს მოინდომებს, შემდეგ — 24-ს. ნუთუ ამისგან დაზღვეული ვართ. ასეთ შემთხვევაში არავინ გავარდება. პირიქით, ქვედა ლიგიდან დაემატებიან და ყველა კმაყოფილი იქნება. ეს იდეა, უბრალოდ, სისულელეა".

ახლანდელი პროექტით კი ასეა — წლეულს უმაღლესი დივიზიონიდან მხოლოდ ერთი გუნდი უნდა გავარდეს, ქვედა ლიგიდან კი სამი ალზევდეს.

იდეას ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კაცი უჭერს მხარს — „გენგამის" მწვრთნელი ბერნარ ლიაკომბი, რომელმაც განაცხადა: „როცა „კანში" ვმუშაობდი, მაშინ გუნდების რაოდენობა 20 იყო. ცუდი სულაც არ ყოფილა, პროექტი ძალიანაც მომწონს".

**ნიკა შუბლაძე**

# ბარტეზს წიხლი შერჩა



ფაბიენ ბარტეზი

**გეხსომებათ** პრემიერლიგის წინა ტურში „ლიდს იუნაიტედის" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრის პირველი ტაიმის მიწურულს, მანჩესტერელთა კარის დარაჯმა ფაბიენ ბარტეზმა წიხლი ჩაჰკრა ლიდსელთა მცველ იან ჰარტს, რისთვისაც მსაჯმა ფრანგი მეკარე ყვითელი ბარათით დასაჯა და თან მის კარში პენალტი დანიშნა, ისიც გემახსოვრებათ წიხლნაკრავი ჰარტის დარტყმული რომ ბარტეზმა მოიგერია.

ამ ინციდენტს თამაშის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელი გამოეხმაურა. ლიდსელთა დამრიგებელმა დევიდ ოლირიმ თქვა — ბარტეზი გაცილებით მკაცრ სასჯელს იმსახურებდა, იგი უნდა გაეძევებინათო. სერ ალექს ფერგიუსონმა კი განაცხადა, რომ თავად მცველი ჰარტი იყო დამნაშავე, მეკარეს პირველად მან დაარტყა, ხოლო შემდეგ პროვოკაციულად დაეცაო.

პრემიერლიგის სადისციპლინო კომიტეტმა ეს შემთხვევა განიხილა, ვიდეოჩანაწერი გულდასმით გადაამოწმა და დაადგინა, რომ მსაჯმა იმ ეპიზოდში ყველაფერი სწორად გადაწყვიტა. ბარტეზის დასჯაზე კი არაფერი თქმულა, ეტყობა, მანჩესტერელთა მეკარეს დანაშაული შეუნდეს.


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ნაგმირალს დასცინიან

6 მარტი

**შარლოტი 89:95 მინესოტა**
შარლოტი: ვესლი (21), დევისი (17), მაშბურნი (16)
მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი), შჩერბიაკი (16)

**ნიუ იორკი 97:83 ინდიანა**
ნიუ იორკი: ტომასი (19), სპრიუელი (16), ჯექსონი (15)
ინდიანა: ბესტი (18), როუზი (16)

**ჩიკაგო 87:74 კლივლენდი**
ჩიკაგო: ფიზერი (17), ბრენდი (14 ქულა, 12 მოხსნა)
კლივლენდი: მარპრინგი (16)

**დენვერი 82:93 ფინიქსი**
დენვერი: პეკი (22), მაკლაუდი (17)
ფინიქსი: გულიოტა (25), მარიონი (22)

**საკრამენტო 98:91 ტორონტო**
საკრამენტო: ვებერი (19 ქულა, 13 მოხსნა), კრისტი (19), ვილიამსი (19), დივაცი (17 ქულა, 17 მოხსნა)
ტორონტო: კარტერი (25), დევისი (25), ვილიამსი (17)

**პორტლენდი 97:105 ვანკუვერი**
პორტლენდი: პიპენი (15), სტუდემაიერი (15), ველსი (15)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (26), დიკერსონი (20)

**სიეტლი 73:101 სან ანტონიო**
სიეტლი: პეიტონი (28)
სან ანტონიო: დანკანი (22), რობინსონი (19), ანდერსონი (16)

**გოლდენ სტეიტი 85:97 ლეიკერსი**
გოლდენ სტეიტი: ბლეილოკი (25), ჯემისონი (21)
ლეიკერსი: ბრაიანტი (29), ონილი (26 ქულა, 17 მოხსნა)

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში „ინდიანა პეისერზსა" და „ნიუ იორკ ნიქსს" არაერთხელ გაუმწარებიათ ერთმანეთი რეგულარულ ჩემპიონატშიც და პლეი ოფშიც. პლეი ოფში მათ ბოლო დუელში „ინდიანამ" იძალა და ფინალშიც ის გავიდა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ის დრო, როცა ეს ორი გუნდი ერთმანეთს სისხლს უშრობდა, წარსულს ჩაბარდა. „ნიუ იორკს" რა უშავს, „ინდიანამ" იკითხოს, ვიცე-ჩემპიონი წლეულს საშუალო გუნდობამდე დაქვეითებულა და „მარადიულ" მეტოქეს წინააღმდეგობას ველარ უწევს.

„ინდიანას" მხცოვანი ლიდერი, ოქროსხელება რეჯი მილერი ასაკის მატებასთან ერთად ხელის სიზუსტესაც რომ კარგავს, ეს 6 მარტის შეხვედრამაც დაადასტურა. ერთხელ პლეი ოფში „ნიუ იორკთან" ჭიდილისას მილერმა შეხვედრის ბოლო სამ წამში ორი სამქულიანი ჩაუგდო „ნიქსს", „ინდიანას" მოაგებინა და ნიუიორკელთათვის საძულველ ადამიანად იქცა, ინდიანელთათვის კი გმირად. დღესდღეობით ნიუიორკელთ რეჯი აღარ სძულთ, ისინი უბრალოდ დასცინიან მას, როგორც დაუძლურებულ და არაფრისმაქნის ვეტერანს.

ამ შეხვედრაში მილერმა საწყისი ათი სროლიდან ცხრა ააცილა და ადვილი წარმოსადგენია, მასპინძელთა კალათის დალაშქვრის ყოველი ფუჭი მცდელობის შემდეგ რა ჟრიამული იდგა გადაჭედილ „მედისონ სკვერ გარდენში". საბოლოოდ მილერმა 17 სროლიდან ოდენ ხუთი ჩააგდო და 11 ქულით დაამთავრა შეხვედრა, მისმა გუნდმა კი უიმედოდ წააგო.

არადა, საწყისი თორმეტწუთეული მასპინძელთათვის კარგს არას მოასწავებდა, მილერი თუ ვერა, სხვა ინდიანელები ყოჩაღობდნენ და „ნიქსის" კალათს შესაშური სიზუსტით ბომბავდნენ. როცა პირველი მეოთხედი დასრულდა, ჭერზე დაკიდული ვეება ტაბლო გვამცნობდა, რომ „პეისერზი" 30:13 ჩაგრავდა მასპინძლებს. თუმც ყველაფერი აქ დამთავრდა, დარჩენილ 36 წუთში სტუმრებს ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ, „ნიქსმა" მეორე მეოთხედი 35:19 მოიგო, მესამე — 27:20, მეოთხე კი — 22:14. ინტრიგაც, რომელიც დასაწყისში სტუმართა აფეთქებამ გამოიწვია, უკვე მესამე მეოთხედის შუაში აღარ არსებობდა. „ინდიანა" ჩაიკარგა მასპინძელთა დაცვით ზღუდეებში.

იმ წლებში, როდესაც „ინდიანა" და „ნიუ იორკი" ერთმანეთში მჯობნის გამორკვევას ცდილობდნენ, „ჩიკაგო ბულზი" ამ ორსაც სჯაბნიდა და ყველა დანარჩენსაც. დღეს „ჩიკაგო" დიდ წარმატებებს ველარ აგემოვნებს და კანტიკუნტი გამარჯვებებით სულდგმულობს. შინ „კლივლენდის" წაქცევაც „ბ[illegible]ების" ერთ-ერთი იშვიათი გამარჯვება იყო. მართალია, „კლივლენდი" „ბულზზე" ერთი თავით მაღლა მყოფ გუნდად ითვლება, მაგრამ გუშინწინდელი მატჩის მხილველი სულ სხვა აზრზე დადგებოდა. „ხარებმა" აშკარად გადათელეს კლივლენდური „კავალერია", რომელიც სეზონის გარიჟრაჟზე ცენტრალური დივიზიონის პირველობას იჩემებდა, მაგრამ ლიტველ ჟიდრენას ილგაუსკასთან ერთად გამარჯვებათა გასაღები დაკარგა და ლიგის უსუსტეს გუნდს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაუთმო.

6 მარტი კიდევ ერთი აუტსაიდერისთვის, „ვანკუვერისთვის" გამოდგა იღბლიანი. „დათვები" დასავლეთის პირველ გუნდს, „პორტლენდს" სტუმრობდნენ და სასწაული მოახდინეს. პორტლენდში იმ დღეს ღირსსახსოვარი რამ მოხდა — შეხვედრის დიდ შესვენებაზე კლუბმა მუდმივი მაისურა უბოძა ექსპორტლენდელ კლაიდ დრექსლერს, რომელიც აგერ სამი წელია, პენსიაზეა. ამასთან, ხუთწლიანი განშორების შემდეგ, „ბლეიზერსს" დაუბრუნდა ადრე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და დრექსლერის თანამებრძოლი, როდ სტრიკლენდი. „ვანკუვერთან" ამ გუნდში მისი ხელმეორე დებიუტი შედგა, მაგრამ კარგ ხასიათზე მყოფ პორტლენდელთ გუნება „ვანკუვერმა" წაუხდინა, რომელმაც ბოლო მეოთხედში შესანიშნავად ითამაშა, ეს თორმეტწუთეული 33:21 მოიგო და ბოლო რვა შეხვედრაში პირველად გაიხარა. „პორტლენდმა" კი დასავლეთში პირველობა დაკარგა. სტუმრებს ხელი მასპინძელთა ლიდერმა რაშიდ ვოლესმაც წაასველა, რომელმაც მეორე ტაიმის დასაწყისში მსაჯს ჩვეულად დაუწყო საქმის გარჩევა და ტრადიციულად გააძევეს.

ერთ-ერთი ლიდერის, შონ მარიონის გამოჯანმრთელება „ფინიქსმა" „დენვერთან" გამარჯვებით აღნიშნა. „დენვერს" ორი ლიდერი — ანტონიო მაკდაიესი და ნიკ ვან ექსელი აკლდა. ამ დუეტის გარეშე კი „დენვერი", ვეჭვობთ, „ჩიკაგოსაც" ვერ აჯობებდა.

ლიდერ კრის ვებერის დაბრუნება „საკრამენტო კინგზსაც" კარგად წაადგა. „მეფეები" ბოლო ხუთი მატჩის მოგებ ტორონტოელ „დინოზავრებს" მასპინძლობდნენ და პირველი მეოთხედის შემდეგ 17:27 აგებდნენ, რადგან ტრავმამოშუშებულ ვებერს გაუჭირდა დაწყებისთანავე თამაშის რიტმში ჩაჯდომა. მერე თანდათან გამოცოცხლდა, მეტოქის ფარზე გაილაღა და სეზონის 34-ე დუბლი იოლად შეასრულა. მის მხარდამხარ სხვებიც რიგიანად გაისარჯნენ. თავი განსაკუთრებით დუგ კრისტიმ გამოიდო, რომელიც „საკრამენტომდე" „ტორონტოში" თამაშობდა და კლუბის ყველა დროის საუკეთესო მექულეც გახლდათ, სანამ მისი რეკორდი ამ რამდენიმე დღის წინ ვინს კარტერმა არ დაამხო. წინა კვირის საუკეთესო მოთამაშე ვინს კარტერი არც ამჯერად იყო უქმად და 25 ქულაც გაახერხა, თუმც ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

**ირაკლი ფირაშვილი**



შარლოტი — მინესოტა. ტერელ ბრენდონი შარლოტელ ბარონ დევისს გაურბის

REUTERS ფოტო

| ადმოსავლეთის კონფერენცია | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ფილადელფია | 44 | 16 | 73,3 |
| მაიამი | 37 | 24 | 60,7 |
| ნიუ იორკი | 35 | 25 | 58,3 |
| ორლანდო | 32 | 27 | 52,7 |
| ბოსტონი | 26 | 34 | 43,3 |
| ნიუ ჯერსი | 21 | 41 | 33,9 |
| ვაშინგტონი | 13 | 47 | 21,7 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 37 | 22 | 62,7 |
| შარლოტი | 34 | 27 | 55,7 |
| ტორონტო | 33 | 28 | 54,1 |
| ინდიანა | 26 | 32 | 44,8 |
| კლივლენდი | 22 | 37 | 37,3 |
| დეტროიტი | 22 | 38 | 36,7 |
| ატლანტა | 18 | 43 | 29,5 |
| ჩიკაგო | 11 | 48 | 18,6 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 41 | 18 | 69,5 |
| სან ანტონიო | 41 | 19 | 68,3 |
| დალასი | 37 | 23 | 61,7 |
| მინესოტა | 37 | 24 | 60,7 |
| ჰიუსტონი | 32 | 28 | 53,3 |
| დენვერი | 30 | 33 | 47,6 |
| ვანკუვერი | 19 | 43 | 30,6 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 42 | 19 | 68,9 |
| ლეიკერსი | 40 | 19 | 67,8 |
| საკრამენტო | 39 | 19 | 67,2 |
| ფინიქსი | 36 | 23 | 61,0 |
| სიეტლი | 31 | 31 | 50,0 |
| კლიპერსი | 22 | 41 | 34,9 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 45 | 26,2 |

# ვის დაკარგავდა პორტლენდი

**6 მარტს** პორტლენდში ნამდვილად არ ეზეიმებოდათ. იქაურთა საამაყო „ბლეიზერსმა", რომელსაც თვალი ჩემპიონობაზე უჭირავს, შინ აუტსაიდერ „ვანკუვერთან" წააგო, თუმც ეს დღე პორტლენდელთათვის მაინც გამორჩეული გახლდათ. „ვანკუვერთან" შეხვედრის დიდი შესვენებისას კლუბმა ღვაწლი დაუფასა ყოფილ კალათბურთელს, კლაიდ დრექსლერს და მას მუდმივი ნომერი უბოძა. ეს იმას ნიშნავს, რომ 22-ნომრიანი მაისურით, რომელიც დრექსლერს ეკუთვნოდა, „პორტლენდში" დღეიდან ველარავინ ითამაშებს. დრექსლერის მაისურა სხვა ცხრა განდიდებულის გვერდით ამაყად აღიმართა დარბაზ „როუზ გარდენის" ჭერზე. თავად პატივცემულმა კლაიდმა კი, რომელსაც მოედანზე მოსისხლე მტერი, მოედნის გარეთ კი ძმაკაცი მაიკლ ჯორდანი უმშვენებდა გვერდს, სამადლობელი წარმოთქვა, თან ისე გულის ამაჩუყებლად, რომ მაყურებელს თვალები აუცრემლა და ის დრო გაახსენა, როცა „პორტლენდი" დრექსლერის მეთაურობით მეტოქეებს აწიოკებდა.

დღეს დრექსლერი სიამოვნებით იხსენებს იმ დღეს, როდესაც პორტლენდში პირველად ჩავიდა: „1983 წლის ზაფხული იყო. იმ წელს მე და ჰაკიმმა (ოლაუჯონმა) ჰიუსტონის უნივერსიტეტი სტუდენტური ჩემპიონატის ფინალში გავიყვანეთ. გაპროფესიონალებას ვაპირებდი და ვიცოდი, „პორტლენდს" ვუნდოდი. ჰოდა, წინასადრაფტო შეხვედრაზე ამ ქალაქში ჩამოვედი, კლუბის ხელმძღვანელებს მოველაპარაკე და თითქმის საბოლოოდ შევუთანხმდი. ესეც ასე, საქმე მოვაგვარე და ახლა სადმე ბარში ან ღამის კლუბში შევლაც შეიძლება-მეთქი, ვუთხარი საკუთარ თავს, მაგრამ უკვე ყველაფერი დაკეტილი იყო. საღამოს ათი საათი იყო მხოლოდ, ქალაქს კი უკვე ეძინა. ვიფიქრე, აქ რა დამრჩენია, სხვაგან ხომ არ მოვუსვა-მეთქი, მაგრამ, საბედნიეროდ, გადავიფიქრე და აი, შედეგი სახეზეა. ვიცი, რომ აქაურები კვლავ მაფასებენ და პატივს მცემენ, მაგრამ ასე თუ დამხვდებოდნენ, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი".

ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ ჰიუსტონში დაბადებულ-გაზრდილ 21 წლის ბიჭს ეუცხოვა მყუდრო, თითქმის მიყრუებული პორტლენდის მდუმარება და დრექსლერს სხვაგან წასვლა რომ გადაეწყვიტა, „ბლეიზერსი" თავის ისტორიაში უდიდეს კალათბურთელს დაკარგავდა. დიახ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დრექსლერისთანა კალათბურთელს „პორტლენდის" მაისურა არ ცმია, სკოტი პიპენს თუ არ ჩავთვლით. პიპენი თავისი კარიერის მიწურულს გადაბარგდა ამ გუნდში (დღესაც იქაა), დრექსლერის ნიჭი კი სწორედ იქ გაიფურჩქნა, მან ერთი უხეირო გუნდი ლიგის მწვერვალზე აიყვანა, „პორტლენდში" გატარებული თერთმეტი ბრწყინვალე სეზონის შემდეგ, როცა იგი სხვა გუნდში გადავიდა, „ბლეიზერსს" არაერთი რეკორდი დაუტოვა. დრექსლერი დღესაც რჩება კლუბის ყველა დროის პირველ მექულედ (18 040 ქულა), მომხსნელად (5339 მოხსნა) და ჩამჭრელად (1795 ჩაჭრა). საუკეთესოა მის მიერ გაკეთებული 18 სამმაგი დუბლიც. მხოლოდ ერთ რამეზე წყდება გული დრექსლერს — ამ გუნდის მაისურით შემოსილმა რომ ვერ ალმართა ჩემპიონის თასი. მან ორჯერ, 1990 და 1992 წლებში გაიყვანა „ბლეიზერსი" ფინალში და ორჯერვე ხელი მოეცარა: პირველად აიზია ტომასისა და ჯო დუმარსის „დეტროიტმა" გადაუღობა გზა, მეორედ — მაიკლ ჯორდანისა და სკოტი პიპენის „ჩიკაგომ".


კლაიდ დრექსლერი

გადასვლით კი დრექსლერი 1995 წელს მშობლიურ ჰიუსტონში გადავიდა და იქ ძველ მეგობარ ჰაკიმ ოლაჯუონთან ერთად გააკეთა ის, რაც ვერც სტუდენტობისას და ვერც პორტლენდელობისას ვერ შეძლო — გახდა ჩემპიონი. 1997 წელს იგი ნბა-ს 50 საუკეთესო კალათბურთელს შორის შეიყვანეს, 1998 წელს კი კლაიდმა ბურთი თაროზე შემოდო და კალათბურთს დაემშვიდობა.

დრექსლერამდე „პორტლენდმა" მუდმივი ნომრები მიაკუთვნა: ლარი ვაინბერგს (1), დევიდ ტვარძიკს (13), ლარი სტილს (15), მორის ლუკასს (20), ბილ უოლტონს (32), ლოიდ ნილს (36), ჯეფ პეტრის (45) და ჯეკ რემზის (77).

**ივანე ძოგიაშვილი**

## კვირის მოთამაშე
### ვინს კარტერი
### • ტორონტო •

გასული კვირის საუკეთესო მოთამაშის წოდება არავის დაანება „ტორონტო რე[illegible]რზის" 23 წლის ფრთამ ვინს კარტერმა. მიუხედავად იმისა, რომ მოცილედ არაერთი კაშკაშა ვარსკვლავი ჰყავდა. წინა კვირაში კარტერის მეთაურობით „დინოზავრებმა" ოთხივე მეტოქე ბეჭზე გააკრეს, მანამდე კიდევ ერთი გამარჯვების ჩათვლით ჯამში ზედიზედ ხუთი მოგება დაუგროვდათ, რაც „რეპტორზისთვის" მიმდინარე სეზონში საუკეთესო შედეგია. თავად კვირის რჩეულმა ამ ოთხ შეხვედრაში საშუალოდ 31,8 ქულა, 6,5 მოხსნა და 4,8 პასი მოინაგრა.

კარტერმა და „ტორონტომ" კვირა სამშაბათს კლივლენდში, იქაური „კავალიერზის" 101:88 ძლევით დაიწყეს. ვინსმა იქ 32 ქულა მოიხვეჭა. ამდენივე დაუგროვდა ერთი დღის შემდეგ, „ატლანტასთან" 95:88 მოგებულ თამაშში. „დინოზავრთა" მორიგი მსხვერპლი ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „ნიუ ჯერსი ნეთსი" გახლდათ, რომელსაც უპირველესმა „დინოზავრმა" 38 ქულა ჩაუგდო და თავისიანებს 107:90 მოაგებინა. ამ სამ ძლეულს კი კვირას „ნიუ იორკიც" მიჰყვა. აქ მთელი კვირის განმავლობაში სახელოვნად მობურთალმა და ცოტათი გადაღლილმა ვინსმა 30-ქულიან ზღურბლს ვერ უწია, მის მიერ გახერხებული 25 ქულა ურიგო შედეგი სულაც არ გახლავთ.

კვირის სხვა გამორჩეულები კი იყვნენ ალენ აივერსონი (ფილადელფია), კევინ გარნეტი (მინესოტა), ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო), ტიმ ჰარდევეი (მაიამი), დირკ ნოვიცკი (დალასი), ჯამალ მაშბურნი (შარლოტი) და ფრედ ჰოიბერგი (ჩიკაგო)



## საქართველოს ჩემპიონატი

# აზოტმა და მაკაბიმ ათი წუთი ითამაშეს

| 7 მარტი. ვერის ბაღი |
|---|
| **თსუ 77:69 შევარდენი** |
| 12:26, 28:21, 24:12, 13:10 |
| თსუ: დ. ბერიშვილი (3), მაისურაძე (14), გ. მარკოიშვილი (14), ახალკაცი (20), მაჭარაძე (16); ხეცურიანი (7), ვეფხვაძე (3), სანიკიძე |
| შევარდენი: კაზანჯიანი (16), გ. ჩხეიძე (2), გიგაური (16), სუხიშვილი (25), ქევხიშვილი (6); გულხადარაშვილი, ნ. ნოზაძე, ალავიძე, ნუცუბიძე (2), მაჭავარიანი (2) |
| მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე |
| კომისარი: მურმან ქურიძე |

| 7 მარტი. ვერის ბაღი |
|---|
| **მაკაბი 90:95 აზოტი** |
| 22:20, 21:27, 27:24, 20:24 |
| მაკაბი: წოწელია (15), ი. შანიძე (27), სარიშვილი (7), ტუჯანი (21), დაჩუმი (17); ანდღულაძე (3), ფიცხელაური |
| აზოტი: ა. ჟღენტი (16), ტურაშვილი (17), გოგობერიშვილი (23), ბაბიაშვილი (6), ჯაფარიძე (11); ბერუაშვილი (2), შენგელია (13), კოკოლიშვილი (7) |
| მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი |
| კომისარი: როლანდ ხომერიკი |




მაკაბელმა დიდიე დაჩუმიმ აზოტელ კახა შენგელიაზე მეტი ქულა კი გააკეთა, მაგრამ გამარჯვება ამ უკანასკნელის გუნდს დარჩა

**გიორგი ბიკაშვილი**

**ბათუმის** „ბასკოს“ არყოფნაში ვერისბაღურ მატჩებს ნაკლები ეშხი აქვს. ინტრიგას მხოლოდ პლეი ოფის მეოთხე საგზურის მაძიებელთა ურთიერთჭიდილი ინარჩუნებს, რადგან პირველი სამეულის ვინაობა ამთავითვე ცნობილია. აი, ჩემპიონი რომ სწვეოდა დედაქალაქს, სხვა საქმე იქნებოდა, ჩვენი ქვეყნის კვალობაზე ბობოლა კლუბები ხომ ერთთავად წლეულს წაუგებელი „ბასკოს“ დაჩოქების სურვილით არიან შეპყრობილნი.

შინაურ ჩემპიონატთან ერთად ჩრდილოურ ლიგაში დამაშვრალი „ბასკო“ ჰოლანდიურ ტურს რომ მოილევს, ზოგიც მერე ვნახოთ, მანამდე კი იმ კლუბთა ბურთაობას მივადევნოთ თვალი, ზღვისპირულ კლუბს ტახტიდან ჩამოგდებას რომ უპირებენ.

გუშინ სტუ ისვენებდა, ვიცე-ჩემპიონი რუსთავის „აზოტი“ კი პორტუგალიიდან დაბრუნებულ გოგობერიშვილ-ჯაფარიძით კამერუნელებით მოჩიტულ „მაკაბის“ შეება.

„აზოტმა“ თავიდან ისე დაიწყო, იფიქრებდით, მეტოქე ბდღვნად არ ეყოფაო. ჯაფარიძისა და ბაბიაშვილის ძალისხმევით ხმელიძის გუნდი 6:0 დაწინაურდა, მაგრამ დაცვაში ნაკლებად მონდომა და მალე მდევრად იქცა. მაკაბელი ირაკლი შანიძე უმეტესწილად უმეთვალყურეოდ იყო, მან უყურადღებობისთვის მოწინააღმდეგე არაერთხელ დასაჯა და საწყისი ათწუთეულიც თავისი გუნდის სასარგებლოდ დაასრულა — 22:20.

მანამდეც და მერეც სანახაობრივად უნიათო თამაში იყო. ამ წყვილში ფავორიტად მიჩნეული „აზოტი“ დუნედ ირჯებოდა, ნაქები რუსთავული აგრესიაც უკვალოდ გამქრალიყო.

მიუხედავად ამისა, ხმელიძის სამწყსომ ტაიმის ბოლოს ლიდერობა იგდო ხელთ, რაც მთლიანად მამუკა ტურაშვილის დამსახურება გახლდათ. მან იშვიათი სნაიპერული თვისებები გამოავლინა და ერთ წუთში სამჯერ დალაშქრა შორიდან მეტოქის კალათი — 47:43 „აზოტის“ სასარგებლოდ.

მესამე მეოთხედში საერთო სურათი დიდად არ შეცვლილა. ეგაა, „მაკაბის“ კამერუნელები გააქტიურდნენ, რომლებიც მოწინააღმდეგის მაღლებზე გაცილებით ბევრს მოძრაობდნენ და უფრო მოწადინებულნიც ჩანდნენ. მათი ძალისხმევით ბოლო ათწუთეულის დაწყებამდე „მაკაბის“ ქულაა აშორებდა „აზოტისგან“.

ბრძოლა რასაც ჰქვია, მერე დაიწყო. მანამდე მშვიდად მოთამაშე „აზოტმა“ მარცხის საფრთხე იყნოსა და ჩვეული გულმოდგინებით იწყო საქმის კეთება. დაუფასდათ კიდეც რუსთაველებს, ეპიზოდი 10:0 მოიგეს და 6 ქულით წინ გაიჭრნენ.

„მაკაბიმ“ ჩამორჩენის აღმოფხვრა მალევე მოახერხა, რის შემდეგაც მატჩის გადამწყვეტი მომენტი დადგა. ოსტატურად ათამაშდა მანამდე ჩრდილში მყოფი რამაზ გოგობერიშვილი, მან ჯერ შორი მანძილიდან ივარგა, მერე დაცვაში საჭირო ბურთი აიღო და დროული პასით პარტნიორი კარგ პოზიციაში დატოვა, მოგვიანებით კი ჯაფარიძეს შეუქმნა ხელსაყრელი სიტუაცია.

სირენამდე წუთნახევრით ადრე 5 ქულით ჩამორჩენილმა „მაკაბიმ“ დროის მოგების მიზნით დაჯარიმებას უხშირა, თუმცა რუსთაველებს მიზანი არ ღალატობდათ.

დღის პირველ შეხვედრაში თსუ, რომელიც პირველი მეოთხედის მერე ლამის უიმედოდ აგებდა, მაინც გამარჯვებული გამოვიდა. სტუდენტებმა ტაიმებს შორის შესვენებით კარგად ისარგებლეს და მოედანზე დაბრუნებულებმა მატჩში გარდატეხაც მოახდინეს. „შევარდენს“ უქულოდ გატარებული 6 წუთი 0:16 წაგებად დაუჯდა და ფეხა ვერც მერე გამოიღო.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 21 | 21 | 0 | 2110:1547 | 42 |
| აზოტი | 21 | 16 | 5 | 1769:1538 | 37 |
| სტუ-ჯეოსელი | 20 | 15 | 5 | 1894:1717 | 35 |
| თსუ | 22 | 9 | 13 | 1881:2014 | 31 |
| მაკაბი | 20 | 10 | 10 | 1760:1678 | 30 |
| შევარდენი | 22 | 7 | 15 | 1657:1798 | 28 |

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა

## საპორტას თასი

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. 6 მარტი

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

**პამესა (ესპანეთი) 101:53 კერაუნოსი (კვიპროსი) (74:69)**

პამესა: ალონსო (2), ალსტონი (13), მერინო (15), ბურგოსი (4), დიურამი (13), ჰოპკინსი (8), ლუენგო (12), მალუენდა (10), მილერა (11), როდილია (13)

კერავნოსი: ანასტასიადესი (5), ბარეტი (20), დოზიე (13), ფლორენტი (9), კარაიანისი, კონტომიტროსი (4), კორონიდესი, სტილიანიდესი, ტრისოკა (2)

**უნიქსი (რუსეთი) 87:63 ანტვერპენი (ბელგია) (61:62)**

უნიქსი: გრაჩოვი (13), იუდინი (16), კუბრაკოვი (12), მიკსი (15), პაშუტინი (5), სამოილენკო, ფისბი (12), იაილო (14)

ანტვერპენი: ბაბიჩი (1), ბაიერი (4), გოტჰარტი (2), ჰილი (7), კრიკემანსი (4), ლორიდონი (10), მოორსი (18), ოკონელი (7), სტონეროოკი (10)

**ტელეკომი (გერმანია) 91:101 მარუსი (საბერძნეთი) (82:102)**

ტელეკომი: ბეეხუმი (8), ბურკი (4), იოსიპოვიჩი (14), კელჩევიჩი (27), კლეპაჩი (2), მაზიკი (16), მილერი (16), პერიცა (4)

მარუსი: ამაია (15), ევტიმოვი (9), ფალეკასი (10), ლოგოთეტისი (1), მანოლოპულოსი, მარმარინოსი (5), მასლარინოსი (15), ნიკოლაიდისი (3), ოლივერი (36), ვურჯუმისი (7)

**ანვილი (პოლონეთი) 72:63 შალონი (საფრანგეთი) (54:65)**

ანვილი: იანკოვსკი (3), კისურინი (5), კრსტიჩი (10), მარცელიჩი (12), მუტავჯიჩი (4), პრავიცა (19), სნეპსი (6), შჩესნიაკი (4), ტომაშევსკი (9)

შალონი: გიფა (6), გულიაში (20), ჰეი, ჯეკსონი (13), ლი (3), ოსტროვსკი (6), ოუენსი (12), ტომიჩი (3), ვესპასიენი

დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ნახევარფინალში

**ნახევარფინალი. 20 და 27 მარტი**

პამესა (ესპანეთი) — შალონი (საფრანგეთი)

უნიქსი (რუსეთი) — მარუსი (საბერძნეთი)



## ვალენსიის ტური




ფაბიენ ჟეკერი

# დაცემის ნაცვლად აღზევდა

**წინა** კვირაში ესპანეთში საკმაოდ ცნობილი და პრესტიჟული „ვალენსიის ტური“ გაიმართა, რომელიც იმითაცაა აღსანიშნავი, რომ იტალიელი მრბოლი მარკო პანტანი შეჯიბრებებს დაუბრუნდა. რა თქმა უნდა, „მეკობრეს“ დანარჩენებთან ბრძოლა გაუჭირდა, მაგრამ მისი მიზანი იქ გამარჯვება არც ყოფილა. „მერკატონე უნოს“ ლიდერმა ვალენსიაში მზადება დაიწყო უფრო დიდი ტურნირებისთვის — „ჯიროსა“ და „ტურისათვის“.

პანტანის გარდა აქ კიდევ ერთი ძლიერი მრბოლი უნდა გამოსულიყო, მაგრამ გერმანელმა იან ულრიხმა წლევანდელი დებიუტი გუშინ დაწყებულ „მურსიის ტურამდე“ გადადო. ისე, სიტყვამ მოიტანა და ბარემ გეტყვით, რომ წლეულს ულრიხმა უქმობისას შინ ყოფნა თითქმის აიკრძალა, რადგან დედამისის მადისაღმძვრელ კერძებს გემრიელად მიირთმევს ხოლმე და მერე მთელი სეზონის მანძილზე ჭარბი წონის პრობლემა აწუხებს. ამჯერად 1997 წლის „ტურის“ მომგები როსტოკელი, რომელიც ფრაიბურგის მახლობლად ცხოვრობს, ჯერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ემზადებოდა და ისვენებდა, მერე კი ბალეარის კუნძულებზე. შინ მიბრუნებულმა სამედიცინო ტესტები ჩააბარა და ექიმებმა უთხრეს, გადაღლილი ხარ და ერთი კვირა კარგად დასვენება არ გაწყენდაო.

დავუბრუნდეთ „ვალენსიის ტურს“, რომელიც სამშაბათს დაიწყო და შაბათს დასრულდა. პირველ ეტაპზე ჰოლანდიელმა მიკაელ ბოგერდმა (რაბობანკი) იმარჯვა. პელოტონმა 166,5-კილომეტრიანი წრე დაარტყა პუერტო საგუნტოს. ბოგერდმა სპრინტში აჯობა თავის სამ თანალტოლვილს — ფაბიენ ჟეკერს, ლეონარდო პიეპოლისა და ალექს ცულეს. ამ ოთხეულმა დანარჩენები რამდენიმე წამით ჩამოიტოვა. ფინიშამდე 30 კილომეტრით ადრე პირველი კატეგორიის სიძნელის მთაზე ცულეს წამოწყებულ შეტევას მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილმა სამეულმა გაუძლო, სხვები კი ჩამორჩნენ.

ყველაზე მეტად პანტანიმ და მისმა თანაგუნდელებმა იზარალეს. იერიშის დაწყებისას „მეკობრე“ ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ველოსიპედიდან ჩამოხტა. მერკატონელებიც დაელოდნენ და ცხრა წუთზე მეტი წააგეს.

მეორე ეტაპი დენიაში დამთავრდა ჯგუფური სპრინტით, რომელიც ამ საქმის დიდმა სპეციალისტმა, ულრიხის ტელეკომელმა თანაგუნდელმა ერიკ ზაბელმა მოიგო. დღის მთავარი შეტევა ესპანელმა გერმან ნიეტომ და იტალიელმა ფაბიო როსიოლიმ განახორციელეს და 130 კილომეტრიც პელოტონის წინ განვლეს, მაგრამ „ტელეკომის“ ძალისხმევით მათ სხვები ფინიშამდე 35 კილომეტრით ადრე დაეწივნენ.

ხუთშაბათს მრბოლებმა დენიადან ბენიდორმისკენ აიღეს გეზი და 149,5 კილომეტრის გავლის შემდეგ ეტაპის გამარჯვებული ისევ სპრინტში გაარკვიეს. ამჯერად ბასკმა დავიდ ეჩებერიამ იყოჩაღა, საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი ბოგერდმა შეინარჩუნა.

ეტაპი საკმაოდ მთიანი იყო. იგი სამ პირველი კატეგორიის სიძნელეს მოიცავდა და მოიერიშეებსაც თავის გამოჩენის მშვენიერი შესაძლებლობა მიეცათ. მათაც არ დაახანეს და „კელმეს“ სამი წევრის თავკაცობით რვაკაციანი ჯგუფი მალევე გაიქცა, თუმცა ლიდერობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს, რადგან ბოგერდის „რაბობანკმა“ ყვითელი მაისურის შესანარჩუნებლად დევნა გამოაცხადა და ბოლო კილომეტრებზე საწადელიც აისრულა.

თუმცა „კელმეს“ გამარჯვება ძლიერ სურდა, რათა იგი რამდენიმე დღის წინ ვარჯიშზე დაღუპული წევრის, რიკარდო ოჩოასთვის მიეძღვნა. რიკარდოს ტყუპი ხავიერი, რომელსაც მანქანა ძმასთან ერთად დაეჯახა, დღესაც კომაშია. ჰოდა, შემდეგ აიტორ გონსალესი გადავიდა იერიშზე, მაგრამ მასაც არაფერი გამოუვიდა.

მეოთხე ეტაპი ბოგერდმა მოიგო, ხოლო პანტანი ტურნირს დაემშვიდობა. ისევე, როგორც „ვუელტას“ გამარჯვებული ბასკი აბრაამ ოლანო (ონსე). ჰოლანდიელმა, პირველი ეტაპის მსგავსად, სამ მრბოლთან ერთად შეძლო წარმატებული შეტევის განხორციელება. სამთაგან ორი „ძველი“ იყო, ცულეს ნაცვლად კი მეოთხეობა ყაზახმა ალექსანდრ ვინოკუროვმა გასწია.

შაბათს „ვალენსიის ტური“ ინდივიდუალური რბოლით დასრულდა, რომელშიც საუკეთესო დრო რუსმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა (პოსტალი) აჩვენა, საერთო ჩათვლაში კი შვეიცარიელი ფაბიენ ჟეკერმა გაიმარჯვა. „ეს ძალიან დიდი სიხარულია. დღეს მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ არ დავცემულიყავი, რადგან წვიმის გამო გზა ძალიან სრიალებდა“ — განაცხადა ჟეკერმა, რომლისთვისაც ეს პირველი გამარჯვებაა მრავალდღიან ტურნირებზე.

**გაგი გურული**

**საბოლოო ჩათვლა**

1. ფაბიენ ჟეკერი (შვეიცარია) 16სთ 22წთ 48წ8
2. მიკაელ ბოგერდი (ჰოლანდია) +13წ8
3. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი) +32
4. ერიკ დეკერი (ჰოლანდია) +37
5. კრისტიან ვანდეველდე (აშშ) +50

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები

8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 509 | ალავესი-რაიო ვალეკანო | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.30 | 510 | კაიზერსლაუტერნი-პსვ | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 24.00 | 511 | ბარსელონა-სელტა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 01.30 | 512 | პორტუ-ლივერპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ლიბერტადორესის თასი

8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 520 | როსარიო (არგენტინა)-ველესი (არგენტინა) | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 05.10 | 521 | ვილსტერმანი (ბოლივია)-კონსეპსიონი (ჩილე) | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| 06.40 | 522 | პალმეირასი (ბრაზილია)-უნივერსიდადი (ჩილე) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 601 | ალავესი | 1,7 | რ.ვალეკანო | 1,7 |
| 23.30 | 602 | კაიზერსლაუტ. | 1,45 | პსვ | 1-2,0 |
| 24.00 | 603 | ბარსელონა | 1,15 | სელტა | 4,0 |
| 01.30 | 604 | პორტუ | 4,0 | ლივერპული | 1,15 |

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 მარტი | | | | | | | | | | |
| 709 | ალავესი-რაიო ვალეკანო | 2,7 | 12,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 7,0 | 16,0 | 10,0 | 6,5 |
| 710 | კაიზერსლაუტერნი-პსვ | 2,5 | 15,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 6,5 | 16,0 | 10,0 | 6,0 |
| 711 | ბარსელონა-სელტა | 1,7 | 18,0 | 30,0 | 3,5 | 6,0 | 10,0 | 18,0 | 12,0 | 10,0 |
| 712 | პორტუ-ლივერპული | 3,8 | 10,0 | 18,0 | 5,0 | 4,4 | 5,0 | 18,0 | 10,0 | 3,8 |

### კალათბურთი

8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 819 | შარლოტი-ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 820 | პორტლენდი-სან ანტონიო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.30 | 821 | ჰიუსტონი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### კალათბურთი. სუპერლიგა

8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 822 | ლ.რიტასი-სპლიტი | 2,0 | 12,0 | 1,4 |
| 21.00 | 823 | ეფესი-სკავოლინი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 21.00 | 824 | ცსკა-ვილერბანი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 | 825 | ცეპტერი-ალბა | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 21.00 | 826 | პანათინაიკოსი-რაანანა | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 23.00 | 827 | მაკაბი-ირაკლისი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 828 | პო ორტეზი-კრკა | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 829 | სიენა-ულქერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 830 | ბაიერი-პარტიზანი | 2,5 | 12,0 | 1,3 |
| 23.30 | 831 | ოსტენდე-პლანია | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩები

8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 832 | აეკ ბენეტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 833 | ფორტიტუდო-რეალი | 1,4 | 12,0 | 2,3 |

### ჰოკეი

8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 917 | ბოსტონი-ოტავა | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 918 | ფილადელფია-კალგარი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.30 | 919 | ნიუ ჯერსი-მინესოტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 920 | ატლანტა-პიტსბურგი | 2,8 | 4,0 | 1,65 |
| 04.30 | 921 | ტამპა ბეი-კაროლინა | 2,4 | 4,0 | 1,85 |
| 05.00 | 922 | სენტ ლუისი-კოლორადო | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 923 | ფინიქსი-ვანკუვერი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.30 | 924 | ლოს ანჯელესი-ნეშვილი | 1,8 | 4,0 | 2,5 |

**დღეს, 8 მარტს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და
თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ნაკრებს სტადიონი, საქართველოს კი დიდი რაგბი სჭირდება

**დატორო** დათვი საკუთარ ბუნაგში მაშინ, როცა ის დათვი შენდამი კეთილად არაა განწყობილი, ამას მარტო ვაჟკაცობა და სიძლიერე არ ეყოფა.

რუსებთან გამარჯვებისთვის ჩვენმა სარაგბო ნაკრებმა ყველაფერი გაიღო. იმ თამაშში ჩაიდო სულის სიმტკიცე, ჟინი, ჯიგარი... ქართულმა სარაგბო თემმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მათი, უფრო სწორად, საქართველოს სარაგბო ნაკრები დანარჩენებზე უფრო ეროვნულია.

რუსებისთვის იმ თამაშს ყველაზე ნაკლებად სპორტული დატვირთვა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ასე მწამს მე და ამაში ვერავინ გადამარწმუნებს.

პოლიტიკა პოლიტიკა და უპირველესად პოლიტიკა... მასპინძელთა ქმედებამ ცეცხლზე ნავთი დაასხა. არა სტადიონი, არც ბურთი, აბუჩად აგდება. რუსებმა ცხადად გამოხატეს, რომ საქართველოს ეროვნულ გუნდებს, ქართველებსაც, გაგრისა და სოხუმის მერები ურჩევნიათ. მათ დაჰფოფინებდნენ თავზე.

...და ყველა ბოლმამ ერთბაშად ამოხეთქა. ქართველებმა, სადაც საჭირო იყო, დიპლომატიაც გამოიყენეს, ძალაც იხმარეს და სანუკვარი ლელოც აქამდე არნახული ერთიანობით გაიტანეს.

ვერ გადაყლაპა დათვმა ბორჯღალი. გაკვნეტას უპირებდა და კბილები დასცვივდა. მათდა გასაოცრად, ძალიან მტკიცე გამოდგა საქართველო.

...და თურმე გვყოლია ნაკრები, რომელმაც იცის გამარჯვება. ამ ნაკრებმა შეიძლება წააგოს კიდეც, მაგრამ არასდროს დაიხევს უკან, არასდროს აუკანკალდება მუხლი და არც არასდროს გაურიგდება მეტოქეს.



ქართველ მორაგბეებს ესპანელებთან შეხვედრისას, როგორც ყოველთვის, ეროვნულ სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრების მხარდაჭერის იმედი აქვთ

...და ამ ნაკრებს დღეს არა აქვს სტადიონი. არადა, ნამდვილად ალალია, უნდა ჰქონდეს იმიტომ, რომ კიდევ არაერთი გამარჯვებით გაახაროს საქართველო.

მე არაფერი გამეგება ნამდვილი რაგბის ყადრისა. საქართველოს სარაგბო ნაკრების თამაშიც მხოლოდ ერთხელ მინახავს და ისიც „ეროვნულზე“. არც ის მახსოვს, ვის მოუგეს მაშინ ქართველებმა, მაგრამ ის კი გამიგია, რომ „ეროვნული“ ფეხბედნიერი ალაგია ჩვენი მორაგბეებისთვის.

ცნობილია, რომ „ეროვნული“ 28 მარტის პრინციპული საფეხბურთო მატჩისთვის ემზადება, მაგრამ მორაგბეებსაც ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოელით ესპანელებთან. რა გინდა მოუხერხო ათასობით ქომაგის იმ სიამაყეს, რომელიც რუსთა ძლევამ გამოიწვია. ამიტომაც ვამბობ, 17 მარტს საქართველოს სარაგბო ნაკრებმა მეტოქეს „ეროვნულზე“ უნდა უმასპინძლოს.

განა სხვაგან არ იციან რაგბის ყადრი, განა სხვაგან ვერ უქომაგებენ ბორჯღალოსნებს, მაგრამ არ ხერხდება და არა მგონია, ამაზე ფეხბურთელები აწუწუნდნენ. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ რიცხვმრავალ გულშემატკივარს და მათ მოულოდნელ ქომაგობას ესპანელებთან მატჩში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება.

რაგბის ერთი მატჩი არანაირ ზიანს არ მიაყენებს „ეროვნულის“ გაზონს. ანაც გასაკვირია, იმაზე მეტი რა უნდა მოუვიდეს, ახლა რომ დამართნია.

თავად ფეხბურთელებიც რომ გაიგებენ, ნახავენ, მოისმენენ საქართველომ ესპანეთი წააქციაო, რუსები უფრო ადრე დაიბრიყვაო, გაორკეცებული ენერგიით, ჟინით, ჯიგრით ეკვეთებიან რუმინეთს და ვინძლო კიდევ მეტად გაიხაროს არაერთი სიდუხჭირისგან დაბეჩავებულმა საქართველომ.

მრავალი ქომაგი წავა 17 მარტს ბორჯღალოსნების საქომაგოდ. თავად მეც სიცოცხლეში მეორედ ვაპირებ, რაგბი ვნახო. სტადიონზე შვილსაც აუცილებლად წავიყვან, რათა კაცების თამაში იხილოს.

საქართველო მოითხოვს — დაუთმეთ მორაგბეებს „ეროვნული“! სულ ორიოდ საათით, მთლიანად კი არ ითხოვენ.

...უნდა დაუთმოთ, ეკუთვნით, ალალია მათზე!

**მამუკა ძვანტალიანი**

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# მთავარი ეშმაკის რისკი

6 მარტი

**ატლანტა 2:4 კოლორადო (0:0 1:2 1:2)**

0:1 ნიემინენი 21 (9), 1:1 დომენიჩელი 25 (10), 1:2 შეიდუკი 38 (36), 2:2 ფერარო 46 (27), 2:3 პრატი 54 (1), 2:4 ნიემინენი 54 (10)

**აილენდერსი 1:5 ვაშინგტონი (0:2 0:2 1:1)**

0:1 ბულისი 6 (5), 0:2 ოუთსი 14 (12), 0:3 კონტე 29 (6), 0:4 კონოვალჩუკი 37 (19), 1:4 ჩერკავსკი 48 (25), 1:5 ბონდრა 60 (37)

**მინესოტა 3:3 სენტ ლუისი (2:1 0:0 1:2 0:0)**

0:1 ნაგი 2 (7), 1:1 უოლცი 7 (14), 2:1 გაბორიკი 17 (17), 2:2 იანგი 48 (36), 2:3 დრეიკი 54 (11), 3:3 სტიუარტი 58 (3)

**კალგარი 1:3 ტორონტო (0:0 0:0 1:3)**

0:1 ლოური 42 (16), 1:1 ანტროპოვი 49 (5), 1:2 სუნდინი 50 (23), 1:3 ტომასი 60 (7)

**ლოს ანჯელესი 4:3 მონრეალი (2:0 1:2 1:1)**

1:0 ემერსონი 1 (11), 2:0 გ. მიურეი 12 (15), 3:0 ვისნოვსკი 21 (6), 3:1 დელილი 26 (3), 3:2 ბრისბუა 38 (10), 3:3 რუჩინსკი 43 (11), 4:3 სმოლინსკი 46 (22)

**ფინიქსი 5:1 ნეშვილი (0:1 3:0 2:0)**

0:1 ფიცჯერალდი 18 (8), 1:1 მეი 27 (6), 2:1 დოუნი 32 (19), 3:1 დოუნი 36 (20), 4:1 ჟიუნო 46 (6), 5:1 რენიკი 50 (26)

**ვანკუვერი 3:4 დეტროიტი (1:1 1:2 1:1)**

1:0 ჟოვანოვსკი 12 (10), 1:1 ლაპოინტი 15 (21), 1:2 დანდენო 28 (7), 1:3 აიზერმანი 36 (15), 2:3 დ. სედინი 39 (18), 2:4 აიზერმანი 45 (16), 3:4 ნესლუნდი 55 (38)

**ბოსტონი 1:3 ბუფალო (0:0 0:2 1:1)**

0:1 კ. ბრაუნი 35 (8), 0:2 ვული 36 (3), 1:2 ელისონი 52 (28), 1:3 ციპლაკოვი 60 (7)

**ნიუ ჯერსი 3:2 ოტავა (0:1 1:1 1:0 1:0)**

0:1 მაკიჩერნი 8 (24), 0:2 მაკიჩერნი 25 (25), 1:2 არნოტი 39 (15), 2:2 ბრილინი 42 (19), 3:2 ელიაში 61 (27)

**ტამპა 2:1 სან ხოსე (1:1 0:0 0:0 1:0)**

1:0 ხარიტონოვი 6 (7), 1:1 შენენი 11 (3), 2:1 რიჩარდსი 65 (17)

გახსოვთ ბოლო პლეი ოფი? გაიხსენეთ, ვინ გახდა ფინალის მთავარი გმირი. თუმცა გმირი კი არა, გმირები — ეს ხომ მთელი სამეული იყო. პატრიკ ელიაშის, პეტრ სიკორასა და ჯეისონ არნოტის მძლავრი და ურთიერთშეთანხმებული თამაში სრული მოულოდნელობა იყო დალასისთვის, სწორედ არნოტმა გაიტანა მაშინ ოქროს გოლი. წლეულს სამივე ჰოკეისტის ბომბარდირთა სიაში ხილვას ელოდნენ, მაგრამ სიკორასა და არნოტის ტრავმების გამო ტრიომ მთლიანი შემადგენლობით სულ 35 მატჩი ჩაატარა. თუმცა, როცა ყველა მათგანი ჯანზეა და ერთადაა, „ეშმაკთა“ მეტოქეებს არ ულხინთ და ეს ბოლო სამმა შეხვედრამაც დაადასტურა.

„ძალიან სასიამოვნოა, რომ ისევ ერთად ვართ. ჩვენი ძალა ერთობაშია და მხოლოდ ერთად ვუქმნით საფრთხეს მეტოქეებს. [illegible], რომ ქომაგები შეძახილებით გვამხნევებენ, როცა ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვავლენთ“ — ჯეისონ არნოტი ოტავასთან შეხვედრის შემდეგ ერთობ კმაყოფილი იყო. მართლაც, წინა ორი მატჩის მსგავსად, სამეული კვლავ გაერთიანდა და შეუჩერებელი შეიქნა. ამჯერადაც სამი გოლიდან ორი, მათ შორის გადამწყვეტი, მათ ანგარიშზეა, სულ კი ამ სამ თამაშში 22 11 გოლი, 11 პასი ქულა მიითვალეს. საინტერესოა, რომ ეს გადამწყვეტი შაიბა ოვერტაიმში გავიდა. „ეშმაკთა“ თავკაცმა ლარი რობინსონმა გარისკა და ტრიო მთელი შემადგენლობით ათამაშა (ისე, დამატებით დროში ორ მცველსა და ორ ფორვარდს აყენებენ). რისკმა გაამართლა. ელვისებური კომბინაციის შემდეგ ელიაში კართან უმეთვალყურეოდ დარჩა და შანსი ხელიდან არ გაუშვა, ნიუ ჯერსიმ კი კონფერენციაში პირველ ადგილზე მყოფ გუნდთან სხვაობა ქულამდე შეამცირა.

აღმოსავლეთის ბობოლათა პაექრობა დღის ცენტრალურ მოვლენად იქცა. მით უმეტეს, რომ მნიშვნელოვანი ტრეიდებით გამორჩეული ორშაბათის შემდეგ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გაცვლილ ჰოკეისტებსაც არ უთამაშიათ. ნიკოლაი ხაბიბულინი ტამპაში ჯერ არც ჩასულა, ტეემუ სელიანეს კი უარესი დაემართა. მას მაინც დასჭირდა ნატკენ მუხლზე მიკროოპერაციის გაკეთება, ისე რომ, თავის ახალ გუნდს კიდევ ორი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. სწორედ ამ ორი გამოჩენილი მოთამაშის ახალი კლუბები — ტამპა და სან ხოსე შეხვდნენ ერთმანეთს. ამ მატჩმა სან ხოსეს ქომაგები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ გუნდს აშკარად სჭირდება სელიანეს დარი გოლეადორი. ერთ-ერთ აუტსაიდერთან შეხვედრაში „ზვიგენთა“ ფორვარდებს კვლავ აკლდათ სიმარჯვე და თავდაჯერება, მარტო ის რად ღირს, რომ რვაჯერ ვერ გამოიყენეს რიცხვმრავლობა. საბოლოოდ ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრებმა საქმე ოვერტაიმამდე მიიყვანეს, იქ კი „კოლდერ ტროფის“ ანუ საუკეთესო ახალბედათა პრიზის ორი მთავარი მაძიებელი — ტამპელი ბრედ რიჩარდსისა და სან ხოსეს მეკარე ევგენი ნაბოკოვის დუელში პირველმა იმარჯვა. სან ხოსემ ბოლო 5 მატჩში პირველი ქულა მოიპოვა.

ხაბიბულინის ნაცვლად ფინიქსში გადასულმა მაიკ ჯონსონმა და პოლ მარამ, ახალი თავკაცობის დაპირების მიუხედავად, პირველ სამეულში ადგილი ვერ მიიღეს. ალბათ, მწვრთნელები მართალნი იყვნენ, რადგან სწორედ „კოიოტების“ წამყვანმა ტრიომ განაპირობა გამარჯვება. შეინ დოუნს გოლების გატანაში ჯერემი რენიკმა და კეიტ ტკაჩუკმა (ორ-ორი პასი) შეუწყვეს ხელი, ახალწვეულთაგან კი მხოლოდ ჯონსონმა მიითვალა ერთი პასი.

რა ჯობია, როცა იოლი მეტოქე გყავს და მასთან ნებისმიერ თამაშში კარგად მიგდის საქმე. ვაშინგტონის უბერებელი პლეიმეიკერის, ადამ ოუთსისთვის სწორედ ასეთი გუნდია აილენდერსი. ამჯერადაც ვეტერანმა ერთ გოლს სამი პასი მიუმატა, თანაც აქედან ორის ხარჯზე სილვენ კოტემ და პეტერ ბონდრამ უმცირესობაში გაიტანეს.

დეტროიტისთვის კი ასეთი სიაცოვნება ვანკუვერთან თამაშია. როგორ ფორმაშიც არ უნდა იყოს „რედ ვინგსი“, მეტოქეს მაინც უმკლავდება და აგერ უკვე მე-16 შეხვედრაა, არ დამარცხებულა. ამჯერად დეტროიტმა უმცირესობაში მყოფი ვანკუვერი დაჩაგრა და ოთხი გოლიდან სამი სწორედ რიცხობრივ უმრავლესობაში გაუტანა.

პეტერ ფორსბერგის სამმა საუცხოო პასმა კოლორადოს ატლანტასთან შეხვედრაში გამარჯვება მოუტანა. განსაკუთრებით ლამაზი მეორე იყო — კარს უკან მყოფმა შვედმა ისეთი მოულოდნელი გადაცემა გააკეთა, რომ მეკარემ და ორმა მცველმა ვერც კი შეამჩნიეს, როდის მიუვიდა შაიბა მილან ჰეიდუკს.

მეტად საჭირო ქულები დაკარგა ბოსტონმა, რომელიც აღმოსავლეთის ბოლო, მერვე საპლეიოფო ადგილისთვის კაროლინას ეპაექრება. ზედიზედ ხუთი საშინაო მოგების შემდეგ „დათვებს“ ამჯერადაც წარმატების დიდი იმედი ჰქონდათ, მაგრამ მესამე პერიოდში დომინიკ ჰაშეკის წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ. სწორედ „დომინატორის“ ორმა მოგერიებამ მოუთავა ხელი მასპინძლებს.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

ნიუ ჯერსი — ოტავა. ნიუჯერსელი ალექსანდრ მოგილნი კარელ რაჩუნეკსა (მარცხნივ) და უეიდ რედენს შორის

თხილამურობა

# ორი და ოთხი: ფინური კატასტროფა

**მცირე** პაუზის შემდგომ საბოლოოდ გაირკვა, რომ სულ ექვსმა ფინელმა აჭამა სირცხვილი სამშობლოს. მერე რა ხალხმა: ზოგი ადრევე და ზოგიც ლაჰტის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ეროვნულ გმირებად რომ შერაცხეს. საუბარია სათხილამურო დოპინგ-სკანდალზე, რომლის ორი მონაწილე, იარი იზომეცა და იანე იმონენი, ადრევე ამხილეს აკრძალული პრეპარატების მიღებაში და ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. გუშინ კიდევ 4 მოთხილამურის ამბავი უნდა გაცხადებულიყო, რომელთა A ტესტებმაც დოპინგის მიღება დაადასტურეს და ახლა სიტყვა B ტესტზე იყო. სამი მათგანი ფინეთში დიდად პატივცემული ხალხი გახლავთ, რაზან თავად თხილამურობაა იმ ქვეყნის ნომერ პირველი სპორტი. ეროვნული გმირის მიკა მულულას, მხცოვანი ჰარი კირვისნიემისა და 25 წლის მილა იაუბოს ვინაობა ადრეც ცნობილი იყო, ხოლო მეოთხემ, მანდილოსანმა, B ტესტის შედეგებამდე ანონიმად დარჩენა ისურვა. გამოქვეყნდა B ტესტის შედეგებიც და მოლოდინისამებრ, ოთხივე დამნაშავედ ცნეს, მეოთხე კი ფინელთა ახალი კერპი, ლაჰტიში მსოფლიოს ჩემპიონი, ვირპი კუიტუნენი გამოდგა. მოკლედ, ვინც ფინეთიდან ჩემპიონატზე რამე ღირებული გააკეთა, ყველა უპატიოსნო ყოფილა, ამიტომაა, სიტყვა „კატასტროფის“ ხსენებას ბოლო რომ არ უჩანს. დამნაშავეებს ეძებენ ყველგან. სულ პირველად სამსახური ნაკრების ექიმებმა დატოვეს, მერე — მთავარმა მწვრთნელებმა, მხოლოდ ფინეთის თხილამურობის ასოციაციიდან (ფსა) არ ისმოდა კრინტი, რამაც უმაღლესი ინსტანციებიც კი ერთობ გააჯავრა. ფინეთის კულტურის მინისტრმა სუვი ლინდენმა, რომელსაც ქვეყნის სპორტის ამბებიც ეკითხება, არაერთხელ გააკრიტიკა ფინეთის სათხილამურო ოფიციოზი და მიანიშნა, მოშორდით ფსა-ს სათავეებსო. მინისტრის ბოლო განცხადება ყველაზე მძაფრი იყო და მასში კონკრეტული სანქცია აისახა. „სანამ ფსა-ს ხელმძღვანელობა, თავმჯდომარე ჰაავო პეტაიასა და მმართველი დირექტორის ესა კლინგას



**დოპინგს ვირპი კუიტუნენიც გაეთამაშა**

თამადობით, არ გადადგება, ასოციაცია მთავრობიდან ვერაფერს მიიღებს“ — თქვა ლინდენმა, ხოლო თხილამურობა ფინეთში სახელმწიფო დონეზე რომაა აყვანილი, ზემოთ გითხარით. დაკარგვა ემუქრება მრგვალ თანხებს და პირველი ნაბიჯი კლინგამ გადადგა. მან გუშინწინ, B ტესტების შედეგების გამოქვეყნებისთანავე განცხადება დაწერა და წავიდა. პეტაია დუმს, ხოლო დამნაშავე სპორტსმენთა მომავალი არცთუ ნათელია — თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის (ფის) მორიგ შეკრებაზე მათი ამბავი გაირჩევა. ყოველივე სამხედრო ტრიბუნალს მოგვაგონებს, სადაც ბრალდებულის ბედი წინასწარ გადაწყვეტილია ხოლმე. ანუ: ორწლიანი დისკვალიფიკაცია, სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადის გამოტოვება და ლაჰტიში უწესოდ მოპოვებული მედლებს ჩამორთმევა. ის მედლები ფსა-დან ფის-ში გაიგზავნება, მერე კი იმათ გაუნაწილდებათ, ვისაც წესით ეკუთვნით. ვიცე-ჩემპიონები ჩემპიონები გახდებიან და ასე შემდეგ.

**დავით გულუა**

ჭადრაკი

ლინარესის სუპერტურნირი

# კოლექტიური ფინიში

**ლინარესში** ბოლო ტური უმოტივაციო ჩანდა, გამარჯვებული გარკვეული იყო და მხოლოდ იუდით პოლგარსა და ალექსანდრ გრიშჩუკს ჰქონდათ პრეტენზია საპატიო მეორე ადგილზე. გრიშჩუკმა გამარჯვებულ კასპაროვთან გააწყო ფიგურები და ტურის ცენტრალური პარტია დაიწყო. მეორე წრეში ოთხიდან ორი პარტიის მოგებამ 17 წლის რუსის აქციები ერთობ გააძვირა და კასპაროვთან მის ბრძოლას ყველა ინტერესით შეხვდა, მაგრამ გრიშჩუკს ფინიში ჩამწარდა. კასპაროვმა კლასში ალმატებულება წარმატებით უჩვენა ნორჩ ოპონენტს, რომელსაც ლინარესში ენდშპილის თამაში დაემულამებინა და ამნაირადვე ცდილობდა ბოლო ტურშიც ფონს გასვლას. ენდშპილი გამოვიდა, ოღონდ გრიშჩუკისთვის არაუმეტეს საყაიმო. კასპაროვმა დიდხანს აწვალა მეტოქე, შეცდომა დააშვებინა და წესი აუგო. ამის მიუხედავად, გრიშჩუკმა მეორე ადგილში წილი მაინც დაიდო, რადგან ის დღე არც პოლგარისა იყო, რომელსაც ლინარესში აქამდე ტრაგიკულად მოთამაშე ალექსეი შიროვმა მოუგო. შიროვის რეაბილიტაციას თავად მანდილოსანმა შეუწყო ხელი, როცა შავებით ყოყმანის უჩვევ ტაქტიკას დაადგა. პოლგარს ნახევარი ქულის სურვილი ეტყობოდა და ერთხელ სიტუაცია გაამწვავა, მერე კი თავად შეუდგა მის განელებას. შედეგად, შიროვს ხარისხი დარჩა და მისმა თეთრმა კუმ და მხედარმა შავი მეფე გაატიტვლეს. მალე პოლგარი დანებდა, ხოლო ტურის ერთადერთი ყაიმი ლეკო-კარპოვის პარტიაში აღირიცხა, სადაც მთელი ტურნირის განმავლობაში მთვლემარე უნგრელმა უეცრად ფიცხელი ბრძოლა მოინდომა. თითქმის მოგებულ პოზიციაში ლეკომ მაინც ვერ მოახერეხა გადამწყვეტი დარტყმა და ყაიმი. შედეგად კი ლინარესის სუპერტურნირის საბოლოო ცხრილი ლამაზად გამოიყურება: კასპაროვი თავში, სხვები კი ერთიან კოლექტივად და ზუსტად ერთნაირი ქულებით.

**დავით გულუა**

**1. გარი კასპაროვი (რუსეთი) 7,5; 2-6. ანატოლი კარპოვი (რუსეთი), ალექსეი შიროვი (ესპანეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), იუდით პოლგარი (უნგრეთი), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 4,5.**



**ალექსანდრ გრიშჩუკი და გარი კასპაროვი**

## შედეგები

### მძლეოსნობა

ამერიკის შერქვეშა ჩემპიონატი — „პონტიაკის გრან პრი“ ატლანტა

**ვაჟები**

5 კმ. სიარული: 1. ტიმ სიმენი 19:29,96; 2. კურტ კლაუსენი 19:43,34; 3. ალბერტ ჰეპნერი 20:28,60
სამხტომი: 1. ლამარკ კარტერი 16,90; 2. რობერტ ჰოვარდი 16,67; 3. ბრენდონ კრეივენი 16,36
ბირთვი: 1. ადამ ნელსონი 21,40; 2. ჯონ გოდინა 20,57; 3. ენდრიუ ლუმი 20,45
ჭოკით ხტომა: 1. ლორენს ჯონსონი 5,96; 2. ტაი ჰარვი 5,93; 3. ტიმ მეკი 5,80
სიმაღლეზე ხტომა: 1. ნათან ლიპერი 2,28; 2. ჯეიმი ნიეტო 2,23; 3. სტივენ სმიტი 2,23
3000 მ: ტიმ ბროუ 7:52,22; 2. ბრედ ჰაუზერი 7:56,36; 3. პიტერ შერი 7:58,13
სიგრძეზე ხტომა: 1. დუაიტ ფილიპსი 8,12; 2. მელვინ ლისტერი 8,01; 3. რონალდ ნელსონი 7,87
60 მ: 1. მორის გრინი 6,51; 2. ტიმ ჰარდენი 6,53; 3. ტიმ მონტგომერი 6,56
400 მ: 1. ჯეიმს დევისი 46,16; 2. ენდრიუ პირსი 46,41; 3. მილტონ კემპბელი 6,41
1 მილი: 1. სენეკა ლესიტერი 3:58,67; 2. ჯეისონ ლუნი 3:59,79; 3. ჯეისონ პირა 4:01,92
60 მ. თარჯრბენი: 1. ტერენს ტრემელი 7,49; 2. ტონი დისი 7,55; 3. რონ ბრამლეტი 7,61
800 მ: 1. ტრინიტი გრეი 1:47,10; 2. ელიოტ გესკინსი 1:47,25; 3. ხადევის რობინსონი 1:47,31
200 მ: 1. კობი მილერი 20,31; 2. კევინ ლითლი 20,44; 3. შონ კროუფორდი 20,45

**ქალები**

სამხტომი: 1. კიომბე ჰარდი 14,04; 2. ვანიტა კინარდი 13,36; 3. ნიკოლ გემბლი 13,14
ჭოკით ხტომა: 1. სტეისი დრაგილა 4,56; 2. კელი სატლი 4,56; 3. ალისია უორლიკი 4,36
3 კმ. სიარული: 1. მიშელ როლი 12:28,32; 2. ჯილ ზენერი 12:50,91; 3. სარა სტივენსონი 13:18,21
ბირთვი: 1. კონი პრაის-სმიტი 18,35; 2. ტერი ტიუნქსი 18,18; 3. კრისტინა ტოლსონი 17,19
სიმაღლეზე ხტომა: 1. კეროლ დეიმონი 1,92; 2. ემი აკუფი 1,92; 3. მარი ვარგა 1,82
სიგრძეზე ხტომა: 1. დონ ბარელი 6,68; 2. ელაიზა უილიამსი 6,32; 3. ტონგულა გივენსი 6,15
3000 მ: 1. რეგინა ჯეკობსი 8:54,56; 2. ჩერი კენა 8:55,69; 3. სარა შვალდი 8:57,03
60 მ: 1. კრაისტ გეინსი 7,15; 2. ანჯელა უილიამსი 7,24; 3. ტენიშია ჯონსი 7,29
400 მ: 1. სიუზიენ რიდი 52,01; 2. მონიკ ჰენაგანი 52,18; 3. ტაშა დაუნინგი 53,19
60 მ. თარჯრბენი: 1. ენჯენეტ კირკლენდი 7,97; 2. ბისა გრანტი 8,02; 3. მელისა მორისონი 8,13
800 მ: 1. ჯერლ მაილს-კლარკი 2:00,96; 2. ჰეზელ კლარკი 2:01,43; 3. ჯენიფერ ტუმი 2:03,62
200 მ: 1. ლატაშა ჯენკინსი 23,07; 2. კელი უაიტი 23,40; 3. ტანია ვუდსი 23,52
1 მილი: 1. კოლეტ ლისი 4:35,24; 2. მიეშა მარზელი 4:36,32; 3. ჯანეტ ტრუხილიო 4:40,76

### ძიუდო

ბუდაპეშტის (უნგრეთი) გრან პრი

**ვაჟები**

60 კგ: 1. ტაცუაკი ეგუსა (იაპონია); 2. ფრანკ შამბიი (საფრანგეთი); 3. ჯეიმს ჯონსონი (დიდი ბრიტანეთი) და ლეონიდას მენია (კუბა)
66 კგ: 1. ტომოო ტორიი (იაპონია); 2. დევიდ სომერვილი (დიდი ბრიტანეთი); 3. ჯეიმს ჯონსონი (დიდი ბრიტანეთი) და კიმ ჰიუნგ ჯუ (კორეა)
73 კგ: 1. იუსუკე კანამარუ (იაპონია); 2. ვიტალი მაკაროვი (რუსეთი); 3. დავიდ სამორა (ესპანეთი) და ასლან ანაევი (რუსეთი)
81 კგ: 1. რიუიჩი მურატა (იაპონია); 2. გაბრიელ არტეაგა (კუბა); 3. რიკარდო ეჩარტე (ესპანეთი) და ლორან ჟუანო (საფრანგეთი)
90 კგ: 1. მარკ ჰუიზინგა (ჰოლანდია); 2. იოსვანი დესპაინი (კუბა); 3. ბრაიან ოლსონი (აშშ) და ლიონელ უგონიე (საფრანგეთი)
100 კგ: 1. კოსეი ინუე (იაპონია); 2. კრისტოფ ლაგარი (საფრანგეთი); 3. ბაზელ ელ ღარაბავი (ეგვიპტე) და ანტალ კოვაჩი (უნგრეთი)
მძიმე წონა: 1. ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი); 2. ვალენტინ რუსლიაკოვი (უკრაინა); 3. ზოლტან ჩიზმადია (უნგრეთი) და ელდოშ იშხანგალიევი (ყაზახეთი)

**ქალები**

48 კგ: 1. დანიესკა კარიონი (კუბა); 2. კაიო კიტადა (იაპონია); 3. ლიუბოვ ბრულეტოვა (რუსეთი) და ან სიმონსი (ბელგია)
52 კგ: 1. იუკი იოკოსავა (იაპონია); 2. ვიქტორია ნადი (უნგრეთი); 3. ინგე კლემენტე (ბელგია) და ლი ეუნ ჰეე (კორეა)
57 კგ: 1. ზურისლეიდის ლუპეტე (კუბა); 2. მარია პეკლი (ავსტრია); 3. მიმ კიუნგ სუნი (კორეა) და იზაბელ ფერნანდესი (ესპანეთი)
63 კგ: 1. ლი ბოკ ჰეე (კორეა); 2. კლაუდია ჰელი (ავსტრია); 3. ტატიანა პაპუშინა (რუსეთი) და ანაიზის ერნანდესი (კუბა)
70 კგ: 1. ურსულა მარტინი (ესპანეთი); 2. ლეირე იგლესიასი (ესპანეთი); 3. ედიტ ბოში (ჰოლანდია) და ნიკი ბონტიე (ჰოლანდია)
78 კგ: 1. იურისელ ლაბორდე (კუბა); 2. ესტერ სანმიგელი (ესპანეთი); 3. აირონ ჟუ (ჩინეთი) და კარენ კინჰუიზი (ჰოლანდია)
მძიმე წონა: 1. ესტელა როდრიგესი (კუბა); 2. ბრიჟიტ ოლივიე (ბელგია); 3. კიმ სეონ იუნგი (კორეა) და ცვეტანა ბოილოვა (ბულგარეთი)

მსოფლიოს გუნდური თასი
ბუდაპეშტი (უნგრეთი)

*ნახევარფინალი*

**ევროპა 8:6 აზია**

**ამერიკა 8:5 აფრიკა-ოკეანეთი**

*მესამე ადგილისთვის*

**აზია 11:3 აფრიკა-ოკეანეთი**

*ფინალი*

**ევროპა 8:5 ამერიკა**

ევროპა: ლიუბოვ ბრულეტოვა (48 კგ, რუსეთი), ვიქტორია ვოლკოვა (52 კგ, რუსეთი), მიხაელა სუკალოვა (57 კგ, ჩეხეთი), ტატიანა პაპუშინა (63 კგ, რუსეთი), ტატიანა კუტეპოვა (70 კგ, რუსეთი), ჰაიდი რაკელსი (78 კგ, ბელგია), ცვეტანა ბოილოვა (მძიმე წონა, ბულგარეთი); ფრანკ შამბიი (60 კგ, საფრანგეთი), დევიდ სომერვილი (66 კგ, დიდი ბრიტანეთი), ვიტალი მაკაროვი (73 კგ, რუსეთი), ალექსანდრ კონოვალოვი (81 კგ, რუსეთი), ხასანბი ტაოვი (90 კგ, რუსეთი), ანტალ კოვაჩი (100 კგ, უნგრეთი), ალექსანდრ მიხაილინი (მძიმე წონა, რუსეთი)
ამერიკა: დაინიესკა კარიონი (48 კგ, კუბა), საიმარ კალდერონი (52 კგ, კუბა), ზურისლეიდის ლუპეტე (57 კგ, კუბა), ანაიზის ერნანდესი (63 კგ, კუბა), რეგლა სულუეტა (70 კგ, კუბა), იურისელ ლაბორდე (78 კგ, კუბა), ესტელა როდრიგესი (მძიმე წონა, კუბა); ლეონიდას მენია (60 კგ, კუბა), ფრედერიკ ბრაუნი (66 კგ, აშშ), ექტორ ლომბატი (73 კგ, კუბა), გაბრიელ არტეაგა (81 კგ, კუბა), იოსვანი დესპაინი (90 კგ, კუბა), ფრან ვიდალი (100 კგ, კუბა), რიგობერტო ტრუხილიო (მძიმე წონა, კუბა)


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან,
ბუნებრივი აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



REUTERS სეულიდან




# ნიმუში მზადაა

REUTERS სეულიდან



გაისად იაპონიასა და კორეაში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი რომ გაიმართება, ცხადია, გამარჯვებულებს მედლები უნდა გადასცენ. კორეის ეროვნულ ბანკს უკვე დაუმზადებია ნიმუშები: ოთხი ოქროს, რვა ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი. ნიმუშები თავად კორეის პრემიერ ლი ჰან დონგსა და ფიფას ვიცე-პრეზიდენტს, მსოფლიო ჩემპიონატის ორგკომიტეტის თავმჯდომარეს, ჩუნგ მონგ ჯუნს წარუდგენიათ მედიისთვის.

# პროვინციული ქიდილი

კერლინგი, ანუ ჯაგრისით ჩაიდანის მსგავსი ნივთის სამიზნემდე მიტანა სპორტის იმგვარი სახეობაა, ქართველი კაცი იოლად რომ ვერ აუღებს ალღოს. ნამდვილი, თუ ხელოვნური ყინულის ხეხვით თავის შექცევა, უფრო ჩრდილოური სპორტია. ჰოდა, კანადაშიც დიდი ვნებათა ღელვაა, როცა პროვინციათა ნაკრებები შეეტაკებიან ხოლმე ერთმანეთს. აი, ალბერტას და ნოვა სკოტიას მოკერლინგენი შებმიან და ალბერტელებს 8:3 მოუგიათ.

REUTERS ოტავადან




# პუტინის დანი



რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ახლახანს კორეაში ბრძანდებოდა. პუტინი რომ ძველი ძიუდოისტია და კორეის ვაჭრობის პალატის თავმჯდომარე იონგ სუნგ პაკი რომ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ, მშვენიერი დიპლომატიური დამთხვევაა. ბატონ პაკს ძიუდოს მეშვიდე დანი მიუნიჭებია პუტინისთვის, ეს თავისთავად პატივსაცემი მეშვიდე დანი უმაღლესი ხარისხია კორეის ძიუდოს თავკაცებს რომ შეუძლიათ მაინიჭონ ვინმეს. თავად პუტინს სინანულით უთქვამს, რა არის რომ ხანმოკლე ვიზიტითა ვარ სეულში, თორემ უეჭველად წავივარჯიშებდი თქვენი ნაკრების ბიჭებთან ერთადო.

# ბრაზილიელები და მონადირენი

REUTERS გვადალახარადან



ამ გაზეთს რომ ხელში დაიჭერ, მექსიკის და ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებებს უკვე ნათამაშევი ექნებათ ამხანაგური მატჩები. ფოტოები კი შეხვედრის წინა საღამოს ქალაქ გვადალახარას სასტუმრო „პრეზიდენტშია" გადაღებული. რომარიოსა და რივალდოს ყოველთვის თან სდევენ ავტოგრაფებზე მონადირენი და იმ საღამოსაც ასე იყო.

REUTERS გვადალახარადან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge